ვლადიმერ არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება

A2

ლონდონი მკაცრი საპოლიციო ზედამხედველობის ქვეშ

A5

"ატლანტა ჰოქსი" ფაჩულიაში 16 მილიონს იხდის

A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 5 აგვისტო, 2005 წელი. №177 (1037)

ფასი 50 თეთრი

უცხოეთი

თურქეთის ტურისტულ ცენტრებში კვლავ აფეთქების ხმა გაისმის

აფეთქება სტამბოლის აზიურ ნაწილში, პენდიკის რაიონში განხორციელდა. ტელეკომპანია CNN Turk-ი იუწყება, რომ ინციდენტისას აფეთქდა მანქანა, რომელშიც დაღუპული დედა-შვილი იმყოფებოდა.

A5

სპორტი

ზიდანი და მაკელელე ნაკრებში ბრუნდებიან

საფრანგეთის ნაკრებს უაღრესად გაუჭირდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება და ლიდერ ირლანდიას სამი ქულით ჩამორჩება.

A6

რევიუ

ბრიჯიტ ჯონსის დაბრუნება

მარტოხელა, ჩასუქებული ქალი - ბრიჯიტ ჯონსი ლამის კულტად იქცა, ახლა კი ისევ საგაზეთო სვეტში დაბრუნდა - იქ, სადაც ათიოდე წლის წინ დაიწყო ცხოვრება.

A8

ამინდი

	5/08	6 /08
თბილისი	37	39
ქყიბაული	34	36
სოხუმი	33	36
გორი	33	33
ონი	27	28
ზუგდიდი	39	38
ახმეტა	37	38

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2222
გირვანქა სტერლ.	3.2232
რუბლი	0.0636

ამბები	A 2
ამბები	A 3
ამბები	A 4
პროექტი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

უსაფრთხოების გარანტიებზე მსჯელობა განახლდა

კონსტრუქციული შეხვედრა განსაკუთრებული შედეგის გარეშე

ნინო გომართელი

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ომის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების საკითხებზე მხარეებს შორის კონსულტაციები 2002 წლიდან მიმდინარეობს და, ჯერჯერობით, უცნობია, როდის დასრულდება. გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისში გუშინ გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებიც ამ პროცესის გაგრძელებაა, შედეგი კი თითქმის ისეთივეა, როგორიც აქამდე იყო - ორგანიზატორთა და მონაწილეთა შეფასებით, შეხვედრამ "კონსტრუქციულ ვითარებაში" ჩაიარა.

გაგრძელება A3 გვერდზე

გოგა ხაინდრავა და სერგეი შამბა მოლაპარაკებებით კმაყოფილი დარჩნენ.

ინტერპრესნიუსი

"თბილისმა მიგვატოვა"

კოდორის ხეობის სატკივარი

ნატო კორსანტია

ცის ანაბარა დარჩენილნი

ის, ვინც ერთხელ მაინც გაივლის კოდორის ხეობისკენ მიმავალ საშინლად დანგრეულ გზას, ძნელად, გაბედოს და მეორედაც გაიმეტოს თავი ამ გზაზე დასადგომად (თუმცა, სულ ბოლოს, როცა ხეობას მოივლი, აშკარად შეგრცხვება ამგვარი ფიქრის გამო). ციცაბო აღმართებზე მანქანის ბორბლებთან ერთად ტრიალებენ უშველებელი ქვები, რომელთაც მხოლოდ ძალიან გამოცდილი მძღოლები ძლევენ. ლამის კაცის სიმაღლე ორმოებს კი როგორ უქცევენ გვერდს, ალბათ, თავად იმ მძღოლებმაც არ უწყიან. შთაბეჭდილების სიმძიმეს ისიც ვერ ანელებს, რომ გზების ძირითადი ნაწილი ალპური და სუბალპური ზონის ულამაზეს, ცასთან თითქმის თავმიდებულ მთებსა და უმშვენიერეს ყვავილებით მოფენილ მინდვრებზე გადის. პირიქით, განწყობას ეს დისონანსი უფრო ამძაფრებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

კოდორის ხეობისკენ სატვირთო მანქანა ლოდების გროვასა და კაცის სიმაღლე ორმოებში მიიკვლევს გზას.

ნატო კორსანტია

ხელშეუხებელი ბასაევი

რუსლან ჟადაევი
გაზეთი "ჩეჩნსკოე ობშესტვო"

რუსმა სამხედროებმა იცოდნენ შამილ ბასაევის ადგილსამყოფელი, მაგრამ მის დასაკავებლად სპეცოპერაცია არ განახორციელეს. როგორც აღმოჩნდა, რუსეთის სამხედრო ძალებს "შეეშინდათ", რომ სპეცოპერაციას უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან შეიძლება მსხვერპლი მოჰყოლოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, მშვიდობით გაეშვათ "ბოევიკები".

მოუხელთებელმა საველე მეთაურმა შამილ ბასაევმა კიდევ ერთი მსხვილი ტერაქტი მოაწყო, თუმცა, ამჯერად - საინფორმაციო

გაგრძელება A5 გვერდზე

შამილ ბასაევმა კიდევ ერთი მსხვილი ტერაქტი მოაწყო, თუმცა, ამჯერად - საინფორმაციო

საქართველოში შინაპალიტიკისთვის ბოლოს მოღების მცდელობა

აშშ-მ, შესაძლოა, რუსეთის რისხვა დაიმსახუროს

გაი ჩეიზანი
"უოლ სტრიტ ჯორნალი"

საქართველოს პროდასავლური პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ აშშ-ს ახალი დიპლომატიური ინიციატივა დაეხმარება კონტროლის აღდგენაში ორ ჩამოცილებულ რეგიონზე, რომლებიც უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოს ხელისუფლებას წინააღმდეგობას უწევენ.

ამასთან, კავკასიაში აშშ-ს კიდევ უფრო მძლავრად ფეხის მოკიდებამ, შესაძლოა, შექმნას ახალი დაძაბულობა მოსკოვთან, რომელიც დიდი ხანია, სეპარატისტებს უჭერს მხარს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნებისმიერ საგარეო ჩარევას, რომელიც ამ რეგიონებზე თბილისის კონტროლის აღდგენას ისახავს მიზნად.

თავის ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა ვაშინგტონის მონაწილეობის ახალ პოლიტიკას "გარდამტეხი მომენტი" უწოდა. "ჩვენ გვაქვს პოლიტიკური გაგება იმისა, რომ საჭიროა რაღაცის გაკეთება და ამაში აშშ-ს გარკვეული როლის თამაში შეუძლია," - განაცხადა მან. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ნებისმიერი ნაბიჯი ამერიკამ "რუსებთან ერთად" უნდა გადადგას.

საქართველო უკვე დიდი ხანია, ისწრაფვის იმისკენ, რომ დასავლეთის დახმარებით, აღადგინოს კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რომლებიც საქართველოს მიმართ ეთნიკური და ტერიტორიული ხასიათის უკმაყოფილებას გამოხატავენ. 90-იანი წლების დასაწყისში ეს რეგიონები თბილისიდან გამოყოფისთვის ომს აწარმოებდნენ და ამ ომში გამარჯვებას მიაღწიეს.

აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ თეთრ სახლს განზრახული აქვს, უფრო აქტიური როლი ითამაშოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ამას ადასტურებს ვაშინგტონის სულ უფრო მზარდი დაახლოება საქართველოსთან, რასაც

გაგრძელება A3 გვერდზე

უკანასკნელი არჩეული მერიც გადადგა

მაია მოსიაშვილი

დავით ნადაშვილმა რუსთავში თავისი მოღვაწეობა "უცოდველი" ტყუილით დაიწყო - ის ორი დღის მანძილზე ჟურნალისტებს უცხადებდა, რომ მერაბ ტყეშელაშვილის შემცვლელად არ მოიაზრებოდა და არც რუსთავის მერის ამგვარად შეცვლის სქემის არსებობის შესახებ იცოდა რამე. გუშინ საღამოს, რუსთავის საკრებულოს საგანგებო სხდომის დასრულების შემდეგ კი, სადაც ის რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლად ერთსულოვნად დაამტკიცეს, დავით ნადაშვილმა განაცხადა, რომ მისი მერობის ამბავი ბოლო სამ დღეში გადაწყდა და გარდაბნიდან რუსთავში მერობისთვის გამზადებული წამოვიდა.

რუსთავის საკრებულოს სხდომას უკვე ყოფილი მერი არ დასწრებია. მას გადადგომის განცხადებაში, რომელიც გუშინ 15 საათზე დაწერა, წასვლის მიზეზი არ დაუსახელებია და არც არავის უკითხავს ხმამაღლა - რატომ წავიდა ქალაქიდან ასეთი ფორმით ადამიანი, რომელიც რუსთავს 1995 წლიდან მართავდა.

ამბავი რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის გადადგომის შესახებ ჩვეულებრივი რუსთაველებისათვის მოსალოდნელი მოულოდნელობა აღმოჩნდა. მათ თავიანთი არჩეული მერის დასაცავად საპროტესტო აქციები არ მოუწყვიათ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც უკვე ყოფილი მერის შეფასებაში საკმაოდ ლოიალურები არიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

საკრებულომ ახვლედიანი "აკურთხა"

31 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგ - ასეთი შედეგებით დაამტკიცა გუშინ თბილისის საკრებულომ მერიის, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის ახალი უფროსი მამუკა ახვლედიანი. კენჭისყრაში მონაწილეობა ოპოზიციურ ფრთას - "ახალ მემარჯვენეებსა" და "ლეიბორისტებს" - არ მიუღია. ახვლედიანის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ წარადგინა. გუშინ თბილისის საკრებულომ ადგილობრივი თვითმმართველობის მომსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრების ზუსტი შემადგენლობა და რაოდენობაც დაამტკიცა. კომისიაში სულ 70-მდე წევრი იქნება გაერთიანებული, აქედან 14 - საკრებულოს დეპუტატია.

თამარ დვალი

მამუკა ახვლედიანი დაიბადა 1973 წელს. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ხოლო 1997 წელს - თბილისის სასულიერო აკადემია. შემდეგ სწავლა გააგრძელა საბერძნეთში, ქალაქ კილკიზის საღვთისმეტყველო სასწავლებელში და ასევე განათლება მიიღო თესანოლიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და ბიზანტიის ფაკულტეტზე.

ახვლედიანი სხვადასხვა წლებში მუშაობდა საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების რედაქციის რედაქტორად, ასევე რუსთავის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში რელიგიის, ისტორიისა და ღვთისმეტყველების ლექტორად, რუსთავის გიმზანაში რელიგიისა და კულტურის მასწავლებლად. ბოლო დროს იგი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის უფროსი და მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე.

ასე გამოიყურება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის ახალი უფროსის ავტობიოგრაფია. რომლის წაკითხვის შემდეგაც, საკრებულოს ზოგიერთ წევრს გაუჩნდა იდეა, ეს ადამიანი მერიის ნაცვლად საპატრიარქოში გადაეყვანათ სამუშაოდ.

პირველი დავალება, რომელიც მამუკა ახვლედიანმა საკრებულოს თავმჯდომარისგან მიიღო, მერიის შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას შეეხებოდა. ზაზა ბეგაშვილის თქმით, მერიის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობისთვის ბიუჯეტში 250 ათასი ლარია ჩადებული, რომლის ათვისებაც ახვლედიანმა უახლოეს მომავალში უნდა შეძლოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ომბუდსმენი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მონიტორინგის ჩატარებას ითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს და გალის რაიონსა და უსაფრთხოების ზონაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესასწავლად მონიტორინგის განხორციელებას მოითხოვს.

"ადამიანის უფლებების ხელყოფის შემთხვევებში დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენენ რუსი სამშვიდობოები. არადა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების 1995 წლის 26 მაისის დანართის მიხედვით, დსთ-ს სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელნი არიან, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას," - აცხადებს სოზარ სუბარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში ომბუდსმენი შეშფოთებას გამოხატავს კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დარღვევის დამკვიდრებული პრაქტიკის გამო და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, რუსი სამშვიდობოების სარდლობას, საქართველოს ხელისუფლებას და საზოგადოებას მიმართავს, ერთობლივად გატარდეს ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველების უფლებების დაცვას.

ომბუდსმენმა საერთაშორისო ორგანიზაციებს სამი კვირის წინ გატაცებული და დღემდე აფხაზების ტყვეობაში მყოფი ქართველების შესახებაც მიაწოდა დეტალური ინფორმაცია. აფხაზმა სამართალდამცველებმა 22 ქართველი გალისა და წალენჯიხის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე მუჟავის ხეობაში დააკავეს. დაკავებულთაგან შვიდი მეორე დღესვე გაათავისუფლეს, საქართველოს 15 მოქალაქე კი, კვლავ სოხუმის იზოლატორში იმყოფება და აფხაზური მართლმსაჯულების ვერდიქტს ელოდება. დაკავებულ ქართველებს ადვოკატების აყვანის საშუალებაც არ მისცეს.

აფხაზი სამართალდამცველები დაკავებულ მოქალაქეებს აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთასა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო დამზადებაში ადანაშაულებენ. მათი შეფასებით, დაკავებულებმა აფხაზეთის რესპუბლიკას 90 ათასი რუსული რუბლის ოდენობის ზარალი მიაყენეს.

სოხუმის იზოლატორში დაპატიმრებულ ქართველთა ბედი ჭუბურხინჯის გუშინდელი ოთხმხრივი შეხვედრის თემაც იყო.

"გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის პროკურორს სურს, ქართველებს ხე-ტყის უკანონო ჭრის და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებები წაუყენოს. ჩვენ აფხაზურ მხარეს განვუმარტეთ, რომ საქართველოს საზღვარი გადის ფსოუზე და ენგურის ხიდზე გამავალი ადმინისტრაციული საზღვარი მხოლოდ ძალების დაშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით არის შექმნილი. ამდენად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდება აბსურდულია," - აცხადებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელი, ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრების მოსაწილე ვალერი ჯაფარიძე. მისივე ინფორმაციით, გალის მილიციაში დაკავებული სამი ქართველიდან ორი გათავისუფლდა, სოხუმის მილიციაში კი თორმეტი ქართველი კვლავ პატიმრობაში რჩება. წაყენებული ბრალდებით, სოხუმის იზოლატორში მყოფთ 3-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. როგორც გუშინ მოგვიანებით გახდა ცნობილი, აფხაზურმა მხარემ სასამართლო პროცესი აგვისტოს შუა რიცხვებში დანიშნა.

24 საათი

ვლადიმერ არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება

არუთინიანს ჩვენების მიცემა შეუძლია - ასეთია ცხინვალის საავადმყოფოს ექიმების შეფასება.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპატამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული ვლადიმერ არუთინიანის ჯანმრთელობა უმჯობესდება. **"მას ფიზიკური მდგომარეობა ხელს არ უშლის, ჩვენება მისცეს გამოძიებას,"** - აცხადებს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი დავით ასათიანი.

დავით ასათიანის განმარტებით, ამ დროისთვის, ავადმყოფს მარცხენა მხრის მოტეხილობა აღენიშნება, თუმცა ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, მას ოპერაცია ჩაუტარდება თუ სხვა საშუალებით მოხერხდება დაზიანების მკურნალობა.

შეგახსენებთ, რომ სამართალდამცველებმა არუთინიანი 20 ივლისს ვაშლიჯვარში, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დააკავეს. სპეცოპერაციისას არუთინიანი მძიმედ დაშავდა და იგი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც 30 ივლისს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

10 მაისის ტერაქტის მცდელობაში, განზრახ მკვლელობასა და იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვაში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, იზოლირებულ პალატაშია მოთავსებული გამოძიებასთან თანამშრომლობას კვლავ თავს არიდებს. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატაში, მან შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელს აღიარებითი ინტერვიუ მისცა და განაცხადა, - მე ვესროლე ყუმბარა ბუშს, - არუთინიანი დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენებებს აღარ იძლევა. არადა, თავდაპირველად არუთინიანი მზად იყო გამოძიებისთვის დეტალური ჩვენება ჩაებარებინა, თუმცა, მოგვიანებით, მან პოზიციები შეიცვალა და ბრალის წაყენებისას მასთან მისულ გამომძიებლებს დუმილით დახვდა. თუმცა, როგორც საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, არუთინიანის დაკითხვა მართალია, ზოგი დეტალის დასაზუსტებლად საჭიროა, მაგრამ მისი ბრალეულობის საკითხი ამით არ შეიცვლება, რადგან გამოძიების მის წინააღმდეგ საკმარისზე მეტი მტკიცებულებები მოეპოვება.

24 საათი

საკრებულომ ახვლედიანი "აკურთხა"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მამუკა ახვლედიანი, გუშინვე, მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა საატესტაციო-საკონკურსო კომისიის წევრადაც დაამტკიცეს. ამავე კომისიაში მონაწილეობას, საკრებულოს 3 წევრის ნაცვლად, 14 მიიღებს, თუმცა, არც ერთი მათგანი ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი არ არის. 70-კაციან საკონკურსო-საატესტაციო კომისიას თბილისის მერი გიგი უგულავა უხელმძღვანელებს.

დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსის პირობები გამარტივდა. კონკურსის მეორე ეტაპზე, სამის ნაცვლად, ხუთი ყველაზე მაღალი ქულისა და მეხუთე ქულასთან გათანაბრებული შედეგის მქონე კანდიდატების დაშვებაა გათვალისწინებული.

გარდა ამისა, განისაზღვრა კონკურსის მინიმალური ზღვარიც. მეორე, გასაუბრებით ეტაპზე მხოლოდ ის კონკურსანტები მოხვდებიან, რომლებიც 32-ზე მეტი ქულის მოგროვებას შეძლებენ.

გუშინ თბილისის საკრებულომ დედაქალაქის ბიუჯეტში კვლავ მორიგი ცვლილებები შეიტანა. შიდა საბიუჯეტო რეზერვების ხარჯზე, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს კაპიტალური ხარჯებისთვის 1 მილიონ 120 ათასი ლარი დაემატა. აღნიშნული თანხა საშუალო სკოლებისა და ბაგა-ბაღების შენობების გადახურვას, მათ შიდა სარემონტო სამუშაოებს, საგანმანათლებლო ობიექტებში გათბობის სისტემის მონტაჟსა და სასკოლო ინვენტარის შეძენა-აღდგენას უნდა მოხმარდეს. გარდა ამისა, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს 100 ათასი ლარი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად ემატება. 20 ათასი ლარით გაიზარდა სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტი. ეს თანხა ვაჟთა საჭადრაკო კლუბის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მოხმარდება.

საკრებულოს დადგენილებით, თბილისში მცხოვრებ იაპონიის ომის ვეტერანებს გადაეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით. ამისთვის 2005 წლის ბიუჯეტიდან 550 ლარი გამოიყო, რომელიც ომის 11 მონაწილეზე გადანაწილდება.

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ საკრებულოს წევრებს გაზეთების "თბილისის" და "ვეჩერნი ტბილისის" დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით. სკრებულოს წევრების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გაზეთები დედაქალის ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს. საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, "თბილისი" და "ვეჩერნი ტბილისი" ბიუჯეტიდან მხოლოდ წლის ბოლომდე დაფინანსდებიან. მომავალი წლიდან კი, ტენდერი გამოავლენს, თუ რომელი ბეჭდვითი ორგანო მიიღებს ბიუჯეტიდან თანხებს.

ბიუჯეტში არსებულ ხარვეზს კოლექტორი ავსებს

ახლახან საბურთალოს ქუჩის მცხოვრებლებმა შემოგვჩივლეს, მეეზოვეები ჩვენს ქუჩაზე მოგროვილ ნაგავს ხან იპოდრომზე ყრიან და ხან - კოლექტორებში, გამგეობის ტელეფონი ლამის ავაფეთქეთ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევსო. როგორც გავარკვიეთ, მსგავსი ფაქტები არც სხვა რაიონების მცხოვრებლებისთვის ყოფილა უცხო. ოღონდ, სხვადასხვა რაიონში განსხვავებულ მეთოდს იყენებენ. მეეზოვეების ნაწილი, კოლექტორების ნაცვლად, მოსახლეობის ჯანმრთელობას აზიანებს და შეგროვილ ნაგავს ქუჩაშივე წვავს. მიზეზი კი ძალზე მარტივია - მეეზოვეების მიერ შეგროვილი ნაგვის გამტანის შტატი არ არსებობს.

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში მეეზოვის ინსტიტუტის აღდგენა დიდის ამბით აღინიშნა და ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში მეეზოვეების დასაფინანსებლად მილიონ 500 ათასი ლარი ჩაიდო. განახლებული პროფესიის წარმომადგენლებს ხელფასიც სოლიდური, 100 ლარი დაუნიშნეს (დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ანალოგიურებასთან შედარებით, მართლაც ასეა). თუმცა, ბიუჯეტის შედგენისას გამორჩათ ერთი მთავარი რამ - მეეზოვის მიერ შეგროვილი ნაგვის გამტანის შტატის დაფინანსება. ანუ, მეეზოვეს მხოლოდ დაგვა და ნაგვის მოგროვება ევალება, შემდეგ კი ამ ნაგავს ვინმე გაიტანს თუ არა, ჩვენს ბიუჯეტს სულაც არ ადარდებს. თუკი ნაგვის ბუნკერი კორპუსთან ახლოს დგას, პრობლემა იოლად გვარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შეგროვილი ნაგავი ქუჩაში მანამ ეყრება, სანამ რაიონის დასუფთავების სამსახურის ნაგვის მანქანა ბუნკერებში ჩაყრილ ნაგავთან ერთად არ გაიტანს. ეს კი, შეიძლება, სულ ცოტა, 4-5 დღე გაგრძელდეს. ამიტომაც მეეზოვეებმა "გამოსავალს" მიაგნეს და ნაგვის გამტანის შტატი კოლექტორებს შეათავსებინეს.

ასე რომ, სანამ მეეზოვეთა დაფინანსებაში არსებულ დეფიციტს არ შეავსებენ, არც მოსახლეობასა და არც კოლექტორებს არაფერი ეშველებათ. თუმცა, ვაკე-საბურთალოს რაიონის საბინაო-კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელი ომარ აბულაძე ამ საკითხს უფრო ოპტიმისტურად უყურებს. როცა მას ზემოაღნიშნული ფაქტების შესახებ შევაგონებთ, მეეზოვეების საქმიანობის ფარული კამერით გადაღება გადაწყვიტა, მაგრამ ქალაქის მთავრობის ორი დღისწინანდელმა თათბირმა განზრახვა შეაცვლევინა.

"ქალაქის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მეეზოვეების საქმიანობის კონტროლი მთლიანად გამგეობების დასუფთავების სამსახურს დაავალოს (აქამდე ეს ფუნქცია ქალაქის სერვის-ცენტრებსა და დასუფთავების სამსახურებს განაწილებული ჰქონდათ). ეს კი კონტროლს გააიოლებს და საბურთალოს ქუჩის მობინადრეთა მიერ აღნიშნულ ფაქტებს ადგილი აღარ ექნება," - აცხადებს აბულაძე. თუმცა, კონტროლის გაძლიერებით ბიუჯეტში არსებულ ხარვეზს როგორ ამოავსებს, ჯერ არ აკონკრეტებს.

კახელი ფერმერები უკმაყოფილოები დარჩნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილთან ერთად, გუშინ, დედოფლისწყაროს რაიონის ფერმერებს - შირაქის ველზე, ხოლო სიღნაღის რაიონის ფერმერებს სოფელ ულიანოვკაში შეხვდა.

ფერმერები ზურაბ ნოღაიდელს ხორბლის მოსავლის სიმცირესა და, შარშანდელთან შედარებით, ხორბლის დაბალ ფასზე, ასევე, 2000 წლის გადასახადების გაუქმებაზე ესაუბრნენ.

2000 წელს გვალვის გამო კახეთი სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ ფერმერები გადასახადებისგან გაათავისუფლა, მაგრამ, როგორც ფერმერები აცხადებენ, მათ ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, არა მარტო 2000 წლის გადასახადი, ასევე დაგვიანებისთვის საურავის გადახდა ეკისრებათ.

პრემიერ-მინისტრმა ფერმერების კუთვნილ ბეღელში ხორბლის მოსავალი დათვალიერა და მისი ხარისხით კმაყოფილი დარჩა. გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულს პეტრე ცისკარიშვილს დაავალა.

პრემიერ-მინისტრმა დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების სამსახურის ახლად გარემონტებული შენობის დათვალიერების შემდეგ, ამიერკავკასიაში პირველი ზეთის სახდელი ქარხანა მოინახულა. პირველი ქართული ზეთი სამომხმარებლო ბაზარზე სექტემბერში გამოჩნდება, რომელიც ადგილობრივი ნედლეულისგან იქნება წარმოებული. შ.პ.ს. "არი" დღეღამეში 30 ტონა მზესუმზირას გადაამუშავებს და 10-11 ათას ლიტრს ჩამოასხამს. წარმოებაში 70-მდე ადამიანი დასაქმდება.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნული საწარმო დასაქმების და სამუშაო პირობების ერთ-ერთ ნიმუშად შეაფასა და განაცხადა, რომ ასეთი სახის საწარმოების შექმნა ქვეყანაში იმპორტის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლებას ხელს შეუწყობს.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრით კახელი ფერმერები უკმაყოფილებით დარჩნენ. მათი თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარება ხელისუფლებას აღარ აინტერესებს. რადგან პრემიერ-მინისტრისგან ვერ მიიღეს კონკრეტული დაპირებები იმ საკითხებზე, რაც მათ პრობლემას წარმოადგენს. ფერმერები შიშობენ, რომ მომავალი წლისთვის შირაქის სახნავ-სათესი ფართობი დაუმუშავებელი დარჩება და ისინი სხვა საქმით დაკავდებიან. **ინტერპრესნიუსი**

დაპირისპირება კომუნალურ მრიცხველებთან დაკავშირებით

საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ახალციხეში მომხმარებლები უჩივიან. როგორც "ინტერპრესნიუსს" ენერგეტიკაში მომხმარებლების უფლებების დამცველმა დავით ებრალიძემ განუცხადა, სადისტრიბუციო ენერგოკომპანია არღვევს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ წესებს და მომხმარებლებს აიძულებს, ელექტროენერგიის საფასური კომუნალური მრიცხველების მაჩვენებლის მიხედვით გადაიხადოს.

"მომხმარებელს, რომელსაც სახლში მრიცხველი ისევ გააჩნია, უფლება აქვს მოაწერიგოს საკუთარი აღრიცხვის სისტემა და ანგარიშსწორება მისი მეშვეობით მოახდინოს," - განაცხადა ებრალიძემ. მისივე თქმით, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მომხმარებელს ამის საშუალებას არ აძლევს.

"ენერგეტიკაში მომხმარებლების უფლებების დაცვის სამსახურმა მოამზადა სარჩელი, რომელიც ახალციხის სასამართლოში მოსახლეობის სახელით შევიდა. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ცდილობდა, სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულიყო, თუმცა, საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმის განხილვა ახალციხის სასამართლოს ევალება," - განაცხადა ებრალიძემ, რომელსაც იმედი აქვს, რომ ახალციხის სასამართლო გადაწყვეტილებას მოსახლეობის სასარგებლოდ გამოიტანს.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" ენერგომომხმარებელთა ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ კომპანია კომუნალური გამრიცხველიანების დროს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) დადგენილებას არ არღვევს.

როგორც კომპანიის ოპერაციათა მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განაცხადა, სემეკ-ის დადგენილების მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს ტრანსფორმატორზე დამონტაჟებული კომუნალური მრიცხველის ჩვენება თვითონ გადაანაწილოს და საამისოდ საკუთარ ოჯახებში არსებული ძველი მრიცხველები გამოიყენოს.

"ჩვენთვის მთავარია, ელექტროენერგიის საფასური ტრანსფორმატორზე დამონტაჟებული კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით მივიღოთ. მომხმარებელი თუ შეთანხმდება და ანგარიშსწორების ძველ მრიცხველებს გამოიყენებს, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვიქნებით, თუმცა ძველი მრიცხველები ტექნიკურად გაუმართავია და ჩვენ მათ არ ვაღიარებთ," - განაცხადა კიკალიშვილმა.

მისივე თქმით, ახალციხეში კომპანიას მხოლოდ ოთხმა აბონენტმა უჩივლა. "მომჩივანი აბონენტები, ძირითადად, არგადამხდელი მომხმარებლის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ისინი წლების განმავლობაში ელექტროენერგიას რამდენიმე წყაროს მეშვეობით თითქმის უფასოდ იღებდნენ. ამიტომ, ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ სიამოვნებთ," - აღნიშნა კიკალიშვილმა.

აქვე, მისი განცხადებით, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კომუნალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით სემეკ-ის მოთხოვნებს აუცილებლად შეასრულებს. როგორც კიკალიშვილი აღნიშნავს, კომპანია სემეკ-ის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ერთი კომუნალური მრიცხველით ელექტროენერგიას 70-ზე მეტ აბონენტს არ მიაწვდის.

"სემეკ-ის ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დამატებით 3 500 კომუნალური მრიცხველი გვჭირდება. 1 300-ს უახლოესი თვენახევრის განმავლობაში დავამონტაჟებთ. სამონტაჟო სამუშაოები ამის შემდეგაც გაგრძელდება. ერთი მრიცხველის დამონტაჟება კომპანიას 500 ლარი უჯდება," - განაცხადა კიკალიშვილმა.

სემეკ-მა "საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შესახებ" დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა. ახალი დადგენილება, სავარაუდოდ, ორ კვირაში ამოქმედდება.

კომპანიას დადგენილებით დაევალა, ერთი კომუნალური მრიცხველით მხოლოდ 70-მდე აბონენტი მოამარაგოს. ამჟამად პრობლემა 1500-მდე ტრანსფორმატორზე არსებობს. თითოეული ტრანსფორმატორიდან ელექტროენერგიას 220-260 აბონენტი იღებს. ერთი კომუნალური მრიცხველის ჩვენება აბონენტთა ამ რაოდენობაზე იყოფა, რაც ანგარიშსწორებაში პრობლემებს წარმოქმნის. **24 საათი**

გათბობა და ცხელი წყალი - დონორების სახსრებით

ახლო მომავალში, შესაძლოა, საბურთალოს რაიონის 27 ათასი მცხოვრები უზრუნველყოფილი იყოს ცხელი წყლით და გათბობით. აღნიშნული პროექტი საქართველოს ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ასევე, უცხოელი და ქართველი ექსპერტების ძალისხმევით განხორციელდება.

თამარ დვალი

"საქართველო - განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით" - ასეთია პროექტის სახელწოდება, რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო "ვარაზში" საქართველოს ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ასევე, უცხოელი და ქართველი ექსპერტების და საქართველოს მთავრობის ძალისხმევით მოეწყო.

"პროექტი, რომლის განხორციელებაც შარშან აპრილში დაიწყო, პირველ ეტაპზე სარეაბილიტაციო პროექტების შესრულებას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე ახალი მშენებლობები იგეგმება. საქართველოში სულ 40 მცირე ჰესია, რომელიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. თბილისში არსებობს ცხელი წყლის საბადოები, რომელთა შეთბობა და მოსახლეობისთვის მიწოდება მოხდება. პირველ ეტაპზე, საბურთალოს რაიონის 27 ათას მცხოვრებს ცხელი წყალი მიეწოდება, შემდეგ ვიზრუნებთ გათბობაზეც. ეს მომსახურება მომხმარებელს იმაზე იაფი დაუჯდება, რამდენსაც იგი დღეს გათბობის საშუალებებისთვის მოიხმარს," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას პროექტის მენეჯერმა პაატა ჯანელიძემ.

პროექტის მიზანია გათბობისა და წყალმომარაგების მიზნით გეოთერმული რესურსების მოხმარების და ადგილობრივი ელექტროენერგიის წარმოებაში არსებული მცირე ჰესების გამოყენების ხელშეწყობა. პროექტის სტრატეგია საპილოტო პროექტების განხორციელებაა. ამ მიზნით შეიქმნება განახლებადი ენერგეტიკის საბრუნავი ფონდი, რომელიც გასცემს შეღავათიან სესხებს კერძო მფლობელობაში არსებული მცირე ჰესების, ასევე, კერძო ან მუნიციპალურ მფლობელობაში მყოფი გეოთერმული წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციოდ.

პროექტის ბიუჯეტი დაახლოებით 14 მლნ. დოლარს შეადგენს და იგი, ძირითადად, დონორი ორგანიზაციების, კერძოდ, გლობალური გარემოს დაცვის ფონდის, ასევე გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP), გერმანიის მთავრობის გრანტისა და გერმანიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით ფინანსდება.

მოკლედ

ოპოზიცია პრაიმერის ჩატარებაზე შეთანხმდა

ოპოზიცია შუალედური საპარლამენტო არჩევნებისათვის პრაიმერის ჩატარებაზე საბოლოოდ შეთანხმდა. დღეს კი აღნიშნულ შეთანხმებას ოფიციალურად სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გააფორმებენ. როგორც ცნობილი გახდა, დღეს ოფიციალურ შეთანხმებას წინასწარი არჩევნების ჩატარების თაობაზე ხელს "საქართველოს კონსერვატიული პარტია", "მემარჯვენე ოპოზიცია", პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფლება" და "ლეიბორისტები" მოაწერენ.

ოპოზიცია პრაიმერთან დაკავშირებით სათითაო კანდიდატს წარადგენს. პრაიმერის ჩატარების შემდეგ კი გამარჯვებული კანდიდატი შუალედურ საპარლამენტო არჩევნებზე სახელისუფლებო კანდიდატს დაუპირისპირდება.

ოპოზიციის განცხადებით, პრაიმერის ჩატარების სავარაუდო თარიღი დღეს დასახელდება. **ინტერპრესნიუსი**

ნოღაიდელმა კოკოითის ბრალდებებს უპასუხა

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელის ედუარდ კოკოითის განცხადებას, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას 15 სექტემბრისთვის აპირებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა "აბსურდული" უწოდა. მისი თქმით, სამშვიდობო ინიციატივების სანაცვლოდ, კოკოითი დეზინფორმაციის გავრცელებით არ უნდა იყოს დაკავებული.

ნოღაიდელის თქმით, ბათუმის კონფერენციამ, რომელიც ცხინვალის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას ეძღვნებოდა, დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ მშვიდობიანი გზით სიარულს აპირებს. "ჩვენ სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულ წინადადებებს ველით და არა აბსურდულ განცხადებებს. მე პრეზიდენტის დავალებით ვთხოვე სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავას, რომ ჩემი და კოკოითის შეხვედრას ორგანიზება გაუკეთოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ სამშვიდობო ინიციატივებით ვართ დაკავებული," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. **მედიანიუსი.**

ორი სიტყვით

თბილისი. გალის რაიონის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვას კატეგორიულად უარყოფს გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალერი ლომია. მისი თქმით, გალის რაიონის ყველა სკოლაში ქართული ენა და ლიტერატურა ერთ-ერთ საგნად ისწავლება და მისი აკრძალვის თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა.

ვალერი ლომია ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გალის სკოლებში, შესაძლოა, აფხაზური ენის სწავლება სავალდებულო გახდეს. მისი თქმით, აფხაზური სახელმწიფო ენაა და მას პატივი უნდა სცეს ყველამ, ვისაც აფხაზეთის ტერიტორიაზე სურს ცხოვრება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცხინვალის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს დევიდ ჰაბაკერსა და ტომას ბრეტას შეხვდა. შეხვედრაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე ისაუბრეს. ამასთან დაკავშირებით, მურატ ჯიოევმა ამერიკელებს ოსური მხარის პოზიცია გააცნო.

ჯიოევის თქმით, ოსური მხარე კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან პროცესს ემხრობა. აშშ-ს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ, აგრეთვე, შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

ბათუმი. აჭარის უზენაესმა საბჭომ პირველი მოსმენით დაამტკიცა ცვლილება კანონში "აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატის სტატუსის შესახებ", რომლის მიხედვით, აჭარის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წევრს საქართველოს პარლამენტში კენჭისყრის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ წინასწარ მოიხსნის აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებას.

კანონპროექტს "რესპუბლიკელებთან" ერთად, მხარი არ დაუჭირა უმრავლესობის რვა წევრმა, რომელთა განცხადებითაც, კანონი დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსურ ურთიერთობებში კოკოითის ყოფილმა წარმომადგენელმა ვაჟა ხაჭაპურიძემ შეწყვიტა კონსულტაციები ქართულ ოპოზიციურ პარტიებთან და ისევ ცხინვალში დაბრუნდა. როგორც ხაჭაპურიძემ განაცხადა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მას გარკვეულმა პიროვნებებმა ურჩიეს, თუმცა, მას არც ამ პიროვნებების ვინაობა დაუკონკრეტებია და არც ის, თუ საიდან მიიღო რჩევა - თბილისიდან თუ ცხინვალიდან.

"მე რომ ახლა ოპოზიციონერი გავხდე, ქართულ-ოსური ურთიერთობების საქმე დაიღუპება. ფაქტობრივად, მხოლოდ მე შემიძლია როგორც ქართულ, ისე ოსურ მხარესთან ურთიერთობა და, ამავე დროს, მხოლოდ მე ვაწვდი ინფორმაციას ქართველ ჟურნალისტებს," - განაცხადა ვაჟა ხაჭაპურიძემ.

კოკოითის ყოფილი მრჩეველი საქართველოს ხელისუფლებისგან ქართულ-ოსურ ურთიერთობებში განსაკუთრებულ სტატუსს ითხოვს და ამბობს, რომ სახელმწიფო კანცელარიაში ვინმე მიშამ მას ამის გარანტიები მისცა. "მიშამ, რომლის გვარსაც მე ვერ დავასახელებ, მითხრა - რამდენიმე კვირაში ყველაფერს მოგიგვარებო," - თქვა ხაჭაპურიძემ.

მისივე განცხადებით, მას ოსებიც ეპატიჟებიან ცხინვალის ხელისუფლების ადმინისტრაციაში. "როდესაც ჩემზე ცუდი რაღაცეები ილაპარაკეს, ოსები ძალიან გაბრაზდნენ, მითხრეს, მაგათთან რა გინდა, მოდი ჩვენთან იმუშაავეო," - განაცხადა ხაჭაპურიძემ.

კოკოითის ყოფილმა მრჩეველმა აღნიშნა, რომ თუ მას საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ სტატუსს არ მიანიჭებს, ის თავად ჩამოაყალიბებს ორგანიზაციას, რომელიც სახალხო დიპლომატიით იქნება დაკავებული.

ცნობისთვის: ვაჟა ხაჭაპურიძემ კოკოითის ხელისუფლებაში თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც ის ქართულმა მხარემ მოღალატეობრივ საქმიანობაში დაადანაშაულა. **მედიანიუსი.**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

უსაფრთხოების გარანტიებზე მსჯელობა განახლდა

ᲘᲬᲧᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე მხარეებმა ნდობის აღდგენის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი საკითხის - აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების, ურთიერთგაგებისა და ნდობის გაღრმავების განხილვისას, **"სერიოზული ნაბიჯები გადადგეს."** ხაინდრავას მტკიცებით, ბევრ საკითხში მხარეები **"ურთიერთმისაღები კომპრომისების მიღწევასთან"** ახლოს არიან.

იგივეს აღნიშნავს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბაც. მისი თქმით, შეხვედრა, რომელიც ჟენევის პროცესის ფარგლებში მიმდინარეობდა, სამუშაო ვითარებაში გაიმართა და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

შამბა ამბობს, რომ თბილისში გამართული მოლაპარაკებების შედეგებით კმაყოფილია. მისი შეფასებით, აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე კომპრომისული გადაწყვეტილებების მისაღწევად, დღევანდელ შეხვედრაზე **"მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა"** და მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა, აფხაზეთის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა სერიოზულად განიხილონ და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ მშვიდობიანად მოაგვარონ.

შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, განიხილეს ზღვის აკვატორიაში თბილისსა და სოხუმს შორის არსებული დაპირისპირება და შამბამ იმედი გამოთქვა, რომ **"საზღვაო პრობლემატიკასთან დაკავშირებით"** მხარეები **"პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებს განიხილავენ და ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებსაც მიიღებენ."**

"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პირობებში უფრო მეტად არის შესაძლებელი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარმოება და გადაწყვეტილებების მიღებაში წინსვლა," - აღნიშნა შამბამ თბილისში დასრულებული შეხვედრის კომენტირებისას.

აფხაზური დელეგაციის აზრით, სააკაშვილის ხელისუფლებასთან უფრო ადვილია მოლაპარაკებების წარმოება.

მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა რეგისტრაციის გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ წარდგენილი გეგმით ჩატარების შესახებ. დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება დაინტერესებულია, პირველ რიგში, გალის რაიონში დევნილთა დაბრუნებით და იმ მიზეზების გარკვევით, თუ რატომ არ ბრუნდებიან დევნილები გალის რაიონში. **"დევნილთა დასაბრუნებლად მარტო უსაფრთხოების პირობების შექმნა არ არის საკმარისი, ამისათვის მოსამზადებელია სოციალური და ეკონომიკური პირობები,"** - ამბობს შამბა გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პრობლემებზე საუბრისას.

გუშინვე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ არ გამორიცხა, რომ "ერთობლივ დოკუმენტზე" ხელის მოწერის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის შეხვედრა შედგეს.

მოლაპარაკებათა დაწყებამდე კი, სერგეი შამბამ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენელზე ირაკლი ალასანიაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ალასანია ერთ-ერთი იმათთაგანია, ვისთანაც კონსულტაციების გამართვა მისაღებია, თუმცა არის პრობლემაც. **"იმის გამო, რომ ის, ამავდროულად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას ხელმძღვანელობს, მასთან მოლაპარაკებების წარმოებას არ ვაპირებთ,"** - განაცხადა შამბამ, რომლის აზრითაც, ეს თბილისში მოქმედი ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურების "ლეგალიზების" და მოლაპარაკებების პროცესში მათი ჩართვის ტოლფასი იქნებოდა.

ამასთან, ამოწურულია ინციდენტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს სანაპირო დაცვის მიერ თურქული გემის დაკავების ფაქტს და რომელიც 20-21 ივლისს დაგეგმილი მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი გახდა. აფხაზური მხარე მიყენებული ზარალისთვის კომპენსაციას აღარ ითხოვს. **"მიუხედავად იმისა, რომ ტვირთის ნაწილი აფხაზურ მხარეს სათანადო მდგომარეობაში არ დაუბრუნდა, სოხუმის აკვატორიაში დაკავებულ თურქულ გემთან დაკავშირებით პრობლემა ამოწურულია. მაგრამ ის პრობლემატიკა, რომელიც ზღვაზე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს უკავშირდება, ჯერ კიდევ განსახილველია და მისაღებია კონკრეტული გადაწყვეტილებები,"** - განაცხადა შამბამ.

ანალოგიური ფორმატის მორიგი შეხვედრა, რომელშიც გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის - საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, გერმანიის, აშშ-ს - ელჩებიც იღებენ მონაწილეობას, სექტემბერში სოხუმში გაიმართება.

საქართველოში შინაომლილობისთვის ბოლოს მოღების მცდელობა

ᲘᲬᲧᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პრეზიდენტ ბუშის დემოკრატიზაციის პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მას შემდეგ, როდესაც თითქმის ორი წლის წინათ მიხეილ სააკაშვილი, სახალხო რევოლუციის ტალღაზე, ხელისუფლებაში მოვიდა. მაისში თბილისში შემდგარი ვიზიტის დროს, ბუშმა მოზეიმე ხალხს განუცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაცული უნდა იყოს.

შეერთებული შტატები მოსკოვს სეპარატისტების მხარდაჭერისთვის აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ ამით არასტაბილურობისთვის ხელსაყრელი სიტუაცია იქმნება. აღნიშნულ რეგიონებს მოსკოვი ეკონომიკურად ეხმარება, ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს იქ გამართულ არჩევნებზე, ადგილობრივ მოსახლეობას ურიგებს რუსულ პასპორტებს და უხდის პენსიებს. ამასთან, აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, სამხრეთ ოსეთის მთავრობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენენ.

კონფლიქტების მოგვარების საქმეში უფრო აქტიურად ჩარევის შესახებ აშშ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დროში ემთხვევა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში გავლენის მოსაპოვებლად ვაშინგტონისა და მოსკოვის ღია დაპირისპირებას. გასულ კვირას უზბეკეთმა ამერიკის შეერთებული შტატები გააძევა სამხედრო ბაზიდან, რომელსაც ამერიკისთვის, ავღანეთში სამოქმედოდ, დიდი მნიშვნელობა გააჩნდა. ამ ნაბიჯმა რუსეთს დიდი კოზირი მისცა. ის იმ კრიტიკის შედეგია, რომელიც ვაშინგტონმა უზბეკეთის ხელისუფლების მისამართით გამოთქვა მაისში, ანდიჟანში გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დროს ასობით უზბეკის დახვრეტასთან დაკავშირებით.

მიხეილ სააკაშვილი თავისი პოლიტიკის პრიორიტეტად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიიჩნევს. თუმცა, შედეგები, ჯერჯერობით, საკმაოდ საკამათოა. გასულ წელს მან სისხლისღვრის გარეშე მოახერხა კონტროლის აღდგენა კიდევ ერთ მეამბოხე რეგიონზე - აჭარაზე. 2004 წლის ზაფხულში კი სამხრეთ ოსეთში გაჩაღდა შეიარაღებული შეტაკება, სადაც საქართველომ თავისი ჯარები გაგზავნა. მოგვიანებით, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ჯარები გამოყვანილი იქნა, თუმცა, კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით, საქართველომ სამხრეთ ოსეთთან საზღვარი გადაკეტა.

ამასობაში, დაძაბულობა რუსეთთან და სეპარატისტულ ხელისუფლებებთან ურთიერთობებში სულ უფრო მატულობს. გასულ თვეში მიხეილ სააკაშვილმა "რუსეთის მოქალაქეები" დაადანაშაულა გორში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში, რომლის შედეგადაც სამი პოლიციელი დაიღუპა. რუსეთის ხელისუფლებამ ეს ბრალდება უარყო.

სააკაშვილთან ინტერვიუ შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილესთან მეტ ბრაიზასთან მისი მოლაპარაკებების შემდეგ. ეს უკანასკნელი სათავეში ჩაუდგება შეერთებული შტატების საშუამავლო ძალისხმევას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ამასწინათ ქართველებმა წამოაყენეს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა, თუმცა, სააკაშვილმა აღიარა, რომ აფხაზეთში სწრაფი წარმატების მიღწევის შანსი ნაკლებია.

ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკელების ნებისმიერ საშუამავლო მისიაში რუსები აუცილებლად იქნებიან ჩართულნი. "ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქმედებები კუნთების თამაშად არ იქნას აღქმული იქ, სადაც ჩვენი დანახვა მაინცადამაინც არ სიამოვნებთ," - განაცხადა მან.

რუსებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი დარეგულირება მშვიდობიანი ქმედებებით უნდა მოხდეს და კრემლს, მშვიდობის მისაღწევად, არაერთხელ მიუმართავს ფარული ძალისხმევისთვის. რუსეთმა თავისი წვლილი შეიტანა აჭარის საკითხის მოგვარების საქმეში, მაისში ის დათანხმდა იმაზე, რომ 2008 წლისთვის საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს იქ საბჭოთა პერიოდიდან არსებული ორი სამხედრო ბაზა. თუმცა, რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეგიონის საქმეებში აშშ-ს კიდევ უფრო აქტიურად ჩარევამ, შესაძლოა, რუსეთის საპასუხო ქმედებები გამოიწვიოს. "ამერიკის შეერთებული შტატები იმ თვალსაზრისის განხორციელებისკენ იხრება, რომლის მიხედვითაც არსებობს მათთვის ერთიანი საქართველო. ამერიკელები ამ კონფლიქტების მიმართ ნეიტრალურები არ არიან," - განაცხადა რუსეთის პარლამენტის წევრმა და საგარეო პოლიტიკის საკითხების ექსპერტმა კონსტანტინ ზატულინმა.

სახელგატეხილი ფონდის ახალი საქმეები

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში პრივატიზების ფონდის გამჭვირვალობის დემონსტრირებას ახდენს.

ცოტა ხნის წინათ, აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობით, პრივატიზების ფონდის სხდომა ჩატარდა. მის მუშაობაში, პრეზიდენტის გარდა, მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრი, ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ადგურ არძინბა, სახელმწიფო ქონების კომიტეტის ხელმძღვანელი დაურ თარბა, აგრეთვე, ეკონომიკური ბლოკის მინისტრები. განხილული იქნა პრივატიზების ფონდის შემდგომი საქმიანობის საკითხი.

პრივატიზების ფონდში აკუმულირებულია მცირე და საშუალო ობიექტების გაყიდვის შედეგად მიღებული ფინანსური სახსრები. ფონდის წესდების თანახმად, ეს ფული, მცირე საწარმოებისთვის კრედიტების გამოყოფის გზით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა მოხმარდეს.

პრაქტიკულად კი, საქმე სხვაგვარადაა. პრივატიზების ფონდი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან სახსრებს ფლობს, ერთ-ერთ ყველაზე დახურულ ფინანსურ სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენს. ფონდში ყვავის კორუფცია. წინა ხელისუფლების მოღვაწეობის ბოლო პერიოდში მის გარშემო სკანდალების მთელი სერია აგორდა. თავდაპირველად, 2004 წელს, აფხაზეთის პარლამენტმა შექმნა კომისია პრივატიზების ფონდის საქმიანობის შესასწავლად. მაგრამ აფხაზეთის შემდგომმა ხელისუფლებამ კომისიის საქმიანობა შეაჩერა. ფონდის ხელმძღვანელობა კი, ფაქტობრივად, ფონდის დოკუმენტებზე ხელი არ მიუწვდება, გავლენას ვერ ახდენს მის პოლიტიკაზე და ფონდში მხოლოდ ნომინალურ ფიგურას წარმოადგენს, რომელზეც არაფერია დამოკიდებული. გაირკვა, რომ ფონდის საბჭოს სხდომები არ ტარდება, გადაწყვეტილებას კი ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების ნახველმა ბანკმა, სადაც ფონდის ანგარიშია გახსნილი, კომისიის შეშვებაზე უარი თქვა.

ეს მოხდა აფხაზეთის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის სატელეფონო ზარის შემდეგ, რომელმაც ბანკის თავმჯდომარეს თემურ ბგანბას უბრძანა, არ შეეშვა კომისია. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ფონდის საბჭოდან გასვლის შესახებ განცხადება გააკეთა პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ. მან განაცხადა, რომ საბჭოში ყოფნა აღარ შეუძლია, რადგან, ფაქტობრივად, ფონდის დოკუმენტებზე ხელი არ მიუწვდება, გავლენას ვერ ახდენს მის პოლიტიკაზე და ფონდში მხოლოდ ნომინალურ ფიგურას წარმოადგენს, რომელზეც არაფერია დამოკიდებული. გაირკვა, რომ ფონდის საბჭოს სხდომები არ ტარდება, გადაწყვეტილებას კი ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების თაობაზე პირადად პრეზიდენტი იღებს, საბჭოს დანარჩენი წევრების აზრის გათვალისწინების გარეშე. ნათელი მოეფინა იმასაც, რომ კრედიტების დიდი ნაწილი უკან აღარ დაბრუნდა. და თუ ბრუნდება, ფული ფონდის ანგარიშზე არ ხვდება.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გახმაურდა ფონდში არსებული კორუფციის ზოგიერთი ფაქტი, მაგრამ ჩინოვნიკებმა საჭიროდ ჩათვალეს, ფონდის მოღვაწეობის დეტალური აღწერა კადრს მიღმა დარჩენილიყო. თუმცა, საბოლოო ჯამში, ცნება "პრივატიზაციის ფონდი" საზოგადოების ცნობიერებაში უკვე კორუფციასთან და გაუმჭვირვალე საქმიანობასთან ასოცირდება.

იმ ორგანიზაციის შელახული იმიჯის აღსადგენად, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესს რეალურად უდგას მხარში, გადაწყდა, რომ ამიერიდან ფონდის გადაწყვეტილებები აბსოლუტურად ღია იქნება.

ფონდის გამგეობის სხდომაზე მოწონებული იქნა ათზე მეტი პროექტი, რომელთა საშუალო ღირებულება დაახლოებით ათი ათასი დოლარია. ისინი, ძირითადად, ფერმერული მეურნეობების მხარდამჭერი პროექტებია. პრიორიტეტი ენიჭება მეწარმეებს აფხაზეთის აღმოსავლეთის რეგიონებიდან, სადაც, დასავლეთ აფხაზეთთან შედარებით, მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბალია. კრედიტები, საშუალოდ, ორწლიანია. პრესას მიეცა თითოეული პროექტის ძირფესვიანად შესწავლის საშუალება. ზოგიერთი ბიზნეს-გეგმა, როგორც ფონდის გამგეობაში ამბობენ, დოკუმენტების არასწორად შედგენის გამო იქნა დაწუნებული.

აშენდება თუ არა საცხოვრებელი სახლები ზოოპარკისა და იპოდრომის ტერიტორიაზე?

თამარ დვალი

მას შემდეგ, რაც თბილისის მერად გიგი უგულავა დაინიშნა, მერიის საქალაქო სამსახურის რამდენიმე ხელმძღვანელმა გადადგომის შესახებ განცხადება თავისით დაწერა. ახალი მერის განცხადებით, იგი საკადრო ცვლილებებს არ გეგმავდა და ამ ხალხმა, უბრალოდ, იჩქარა. ერთადერთი სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც საზღვარგარეთ ვიზიტის დროს მოხსნეს და მის მაგივრად სხვა დანიშნეს, თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი ასათიანი იყო. სამსახურიდან დაითხოვეს ასათიანის სამივე მოადგილეც. როგორც აღმოჩნდა, თბილისის ახალ მერს ყველაზე მეტი პრეტენზიები სწორედ ამ სამსახურის მიმართ ჰქონდა. კულუარული ინფორმაციით, ურბანული სამსახურის მმართველი რგოლის გათავისუფლების ერთ-ერთ მიზეზად ზოოპარკისა და იპოდრომის ტერიტორიაზე მშენებლობის დაბლოკვა სახელდება. ურბანული სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელობა ამ თემაზე საუბარს ერიდება, თუმცა აღნიშნავენ, რომ მსგავსი პროექტი მათ სამსახურში მართლაც განიხილებოდა.

"ზოოპარკის პერიფერიაზე გადატანის საკითხი იდეის დონეზე განვიხილეთ და უარყოფითი შეფასება მივეცით. ჩვენ გვქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი, თუ რატომ არ შეიძლება ზოოპარკის გადატანა სხვაგან და, მით უმეტეს, პერიფერიაზე. ევროპის უმეტეს ქალაქებში ზოოპარკი სწორედ ქალაქის ცენტრში, ადვილად მისასვლელ ადგილას არის. თუკი მას ქალაქგარეთ გადავიტანთ, მაშინ შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც უნდა შევქმნათ. ამას გარდა, ზოოპარკის დაარსების დროს ჩატარდა სამეცნიერო კვლევა, რომლის მიხედვითაც, სწორედ ეს ადგილი შეირჩა," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ბექა ქარსიძემ. მისივე თქმით, აქ არის საუკეთესო კლიმატი, ანუ ტემპერატურის თავისებური რეგულაცია. ზოოპარკის ტერიტორიაზე ზაფხულში ერთი გრადუსით გრილი, ხოლო ზამთარში ერთი გრადუსით თბილი ტემპერატურაა. **"ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ამ ადგილით სუნთქავს ქალაქი. პროექტის მიხედვით, აქ უნდა აშენებულიყო საცხოვრებელი ბინები, საოფისე და გასართობი ფართები. საერთოდ, მე ახალი ტერიტორიების ათვისების წინააღმდეგი ვარ. მაშინ, როცა ნახევარი ქალაქი ინგრევა და ისტორიული უბნები ნადგურდება, არ შეიძლება პოლიტიკური ნება ახალი ტერიტორიების ათვისებისკენ იყოს მიმართული. რეკრეაციული ზონები ბინების ასაშენებლად არ უნდა ნადგურდებოდეს. ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, მალე მივალთ იმ დონემდე, რომ ქალაქში გამწვანებული ზოლები საერთოდ აღარ შეგვრჩება. დღეს რეკრეაციული ზოლები თითქმის მთლიანად კერძო საკუთრებაშია გადაცემული, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა, რათა მწვანე სივრცე შეინარჩუნოს,"** - აცხადებს ბექა ქარსიძე. მისივე თქმით, მათ სამსახურში შესული იყო კონკრეტული პროექტი იპოდრომზე ბინათმშენებლობის დაწყების შესახებ. პროექტი საბურთალოს მხრიდან არსებულ ქედსა და საბურთალოს ქუჩის მხრიდან კორპუსების მშენებლობას ითვალისწინებდა. რაც შეეხება იპოდრომის შიდა ტერიტორიას, იქ საოფისე, გასართობი და დასასვენებელი ცენტრების აშენება იყო დაგეგმილი. **"ამ პროექტის მიხედვით, იპოდრომი თავის ფუნქციას მნიშვნელოვნად დაკარგავდა. ამასთან დაკავშირებით, სამსახურში განსხვავებული აზრი გვქონდა: საბურთალოს ქუჩის მხრიდან გზის პირას ბინების მშენებლობა ნაწილს დასაშვებად მიაჩნდა. ასევე, ქედზე ინდივიდუალური, ორ-სამსართულიანი სახლების აშენება. თუმცა, მსჯელობის შემდეგ, პროექტი არ შეთანხმდა. ეს არის ადგილი, საიდანაც ქალაქის განიავება ხდება. ამ ქედიდან ჟანგბადი ქალაქს მიეწოდება. სამწუხაროდ, ამ პრობლემაზე გლობალურად დღეს არავინ ფიქრობს. აღსანიშნავია ისიც, რომ სადაც დღეს საჯინიბოებია, იმ ადგილას რაიმეს აშენება 50 წლის განმავლობაში არ შეიძლება. ეს უამრავ დაავადებას იწვევს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია,"** - განაცხადა ბექა ქარსიძემ.

აღნიშნული პროექტების განხორციელებას დაუშვებლად მიიჩნევს თბილისის ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ვლადიმერ ვარდოსანიძე. მისი თქმით, ზოოპარკი, შესაძლოა, გადატანილ იქნას სხვა ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის გარემო კარგად იქნება შესწავლილი. თუმცა, მის ადგილას მშენებლობის წამოწყებას იგი უარყოფითად აფასებს.

"ზოოპარკის გადატანის იდეა ახალი არ არის. ადრეც იყო საუბარი ამაზე, თუმცა ეს იდეა გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. ჩიქოვანის ქუჩის მხრიდან და ვაკიდან ზოოპარკი შევიწროვდა. ეს არის ის ტერიტორია, სადაც შემოდგომით და ზამთარში დგება ე.წ სმოგის ტბა. ანუ ილექება მანქანების გამონაბოლქვი და ის საშინლად მოქმედებს როგორც ადამიანის, ასევე ცხოველების ჯანმრთელობაზე. მშენებლობას რაც შეეხება, ქალაქმშენებლობის თეორიაში არის ასეთი პრინციპი, რომ მწვანე სივრცეები ქალაქში ერთმანეთში გარდამავალ ერთიან სისტემას უნდა ქმნიდეს. ზოოპარკი სწორედ ასეთი ადგილია. მის გაგრძელებას წარმოადგენს ვერეს ხეობა, უფრო ზემოთ - დიდგორის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთა და ბეთანიის მიდამოები. ეს ის ბუნებრივი ზოლია, რომელიც თბილისის ცენტრში შემოდის და მისი დაკარგვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ბოლოხანს დამკვიდრდა ტრადიცია, რომ მსგავს პროექტებს ქვეყნის ლიდერები პირდაპირ ტელეეკრანიდან უკეთებენ პრეზენტაციას, რაც არქიტექტორთა წრისთვის შეურაცხმყოფელიც კია. თითოეულ ასეთ წინადადებაზე ჯერ პროფესიონალებმა უნდა იმსჯელონ და შემდეგ მოახდინონ პრეზენტაციები," - აღნიშნა ვლადიმერ ვარდოსანიძემ. მისივე თქმით, იპოდრომის ტერიტორიის განაშენიანების საკითხიც სერიოზული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელის ნიკოლოზ ჩხაიძის თქმით, მსგავსი პროექტი მათ სამსახურში ჯერ არ შესულა.

"არც ზოოპარკის ტერიტორიის და არც იპოდრომის განაშენიანების სქემა ჩვენთან არ შემოსულა. თუ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი შემოვა, ვთვლი, რომ ის, პირველ რიგში, საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდება. თუმცა, არ შეიძლება ყველა ახალ შემოთავაზებაზე მაშინვე უარყოფითი ან დადებითი რეაქცია გვქონდეს. თუკი საკმარის არგუმენტებს წარმოგვიდგენენ და დაგვიმტკიცებენ, რომ ამ ტერიტორიებზე უკეთეს გარემოს შექმნიან, მაშინ შეიძლება თანხმობაც მივცეთ," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თბილისის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჩხაიძემ.

უკანასკნელი არჩეული მერიც გადადგა

ᲘᲬᲧᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ის რუსთავის მერად თითქმის 10 წელი მუშაობდა. იყო წლები, როცა ბევრი რამ გაკეთდა და იყო რეგრესის წლებიც. მიუხედავად ამისა, ხალხის მხრიდან მის მიმართ მასობრივი უკმაყოფილება არ ყოფილა. ტყეშელაშვილის გადადგომას უარყოფითად ვაფასებ რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი - ის ერთადერთი პირდაპირი გზით არჩეული მერი იყო საქართველოში და ცუდია, როცა ლამის ტრადიციად დამკვიდრდა არჩევითი თანამდებობის პირების ვადამდე გადადგომა და მეორე - დროის სიმცირის გამო მომავალ არჩევნებამდე რადიკალური ცვლილებების გატარება ნებისმიერ ახალმოსულს გაუჭირდება," - ასეთი პოზიცია დააფიქსირა "24 საათთან" რუსთავის მცხოვრებმა თემურ ალადაშვილმა.

მერაბ ტყეშელაშვილის მუშაობის შეფასებისგან გუშინ ყველა ოფიციალური პირი თავს იკავებდა, მათ შორის - პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი. მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარემ, მამუკა ჩიქოვანმა განაცხადა ღიად, რომ ტყეშელაშვილი ის ადამიანი იყო, რომელიც ქალაქის ხელისუფლებაში სტრუქტურულ რეფორმებსა და ახალი კადრების შესვლას ეწინააღმდეგებოდა.

"რუსთავში უამრავი რამ არის შესაცვლელი - ადმინისტრირება, კადრები. ამ ცვლილებებს ყოფილი მერი მხარს არ უჭერდა და, შეიძლება ითქვას, აფერხებდა. დავით ნადაშვილი 2002 წლიდან ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მასთან რეფორმების გატარების მხრივ პორბლემები არ შეგვექმნება. ჩემი აზრით, ერთ-ერთი პირველი აუცილებლობა რუსთავის მთავრობის ახალგაზრდა, ახლებურად მოაზროვნე კადრებით დაკომპლექტება უნდა იყოს," - განუცხადა "24 საათს" საკრებულოს თავმჯდომარემ.

"ჩემი პირველი პრიორიტეტი რუსთავის ბიუჯეტის გაზრდა და ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშეწყობა იქნება. გარდა ამისა, აქცენტი გაკეთდება ქალაქის ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების მოწესრიგებაზე," - განაცხადა დავით ნადაშვილმა, რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსის ოფიციალურად მინიჭების შემდეგ. თუმცა რუსთავში ყველაზე აქტუალური უკვე ის საკადრო ცვლილებებია, რომელსაც ახალი მერი განახორციელებს. მომავალ ორშაბათს მთელი მთავრობა გადადგება და ამბობენ, რომ მათი 80 პროცენტი უმუშევარი დარჩება.

რუსთავის საკრებულოს წევრი, ლეიბორისტი ალეკო აბაშიძე გუშინ ერთადერთი იყო, ვინც რუსთავის მერის შეცვლის კანონიერებაზე გააკეთა აქცენტი.

"ჩვენ ველოდებით ორგანული კანონის აღსრულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ უკვე დანიშნული პირველი მოადგილე, ისევე, როგორც ქალაქის მთავრობის დანარჩენი წევრები, მერის გადადგომისთანავე იხსნიან უფლებამოსილებას. ამის შემდეგ, ორგანული კანონის მოთხოვნით, ცოტა ხანში მერის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს. ჩვენ ველოდებით კანონის უზენაესობის აღსრულებას, ანუ უახლოეს პერიოდში რუსთავის მერის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას," - განაცხადა აბაშიძემ, რომელიც რუსთავში ლეიბორისტების ოფისს ხელმძღვანელობს და ქალაქის 15-კაციან საკრებულოში ოპოზიციის ერთადერთი წარმომადგენელია.

"თბილისმა მიგვატოვა"

კოდორის ხეობის სატკივარი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამჟამინდელ საქართველოში გზების მშენებლობის თუ შეკეთების ბუმია, ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად მაინც და ამ დროს საკვირველიც კია, რომ არსად არავინ ახსენებს სამყაროსგან მოწყვეტილი, თავის თავში ჩაკეტილი კოდორის ხეობის უგზოობას. წესით, ვიღაცას, ამ ხეობელს თუ არა, ამ გზაგამოვლილ კაცს მაინც უნდა ეყვირა: ხალხნო, ჩვენ - სხვებმა როგორმე მოვითმინოთ, ჯერ ხეობის გზას მივხედოთ, ცოტათი მაინც მოვასწოროთო. ამ ხალხს ხომ სხვა საშველი და სხვა გზა არა აქვთ, ამ გზიდან შემოაქვთ საარსებოდ აუცილებელი სურსათ-სანოვაგე, აქედან ელოდებიან ქალაქში გახიზნულ შვილებსა და შვილიშვილებს და, სხვათა შორის, ასე გაიშვიათებულ და სანატრელ სტუმარსაც. სამგზავრო ვერტმფრენის გამოჩენა აქ ადრინდელზე კიდევ უფრო იშვიათი მოვლენაა, ორ-სამ თვეში ერთხელ თუ ჩამოფრინდება და მაშინაც მგზავრების უმეტესობას გაწბილებულს ტოვებს...

რაც შეეხება სტუმარს, სტუმარი კოდორის ხეობაში მხოლოდ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით როდი მოიაზრება. სტუმარი - ხეობაში რის ვაი-ვაგლახით ამოსული კაცი - - ახლა აქ უპირველესად თანამგრძნობს ნიშნავს. ადამიანს, რომელსაც გული შესტკივა ხეობასა და მის მოსახლეობაზე. სხვანაირად აქ ვერავინ ამოვა. ამიტომაც უხდიან ხოლმე ხეობაში გამოჩენილ ნებისმიერ ადამიანს უსასრულოდ ბევრ მადლობას და ბოდიშს, როგორ შეწუხდით, როგორ დაიტანჯეთო.

- ცის ანაბარა დავრჩით! ოთხკედელშუაგამომწყვდეულები მხოლოდ ცას შევყურებთ! - ამის მთქმელთ მიწაზეც ძალიან მყარად უდგათ ფეხი, იმდენად მყარად, რომ ის აქედან მტერმაც ვერ მოაცვლევინათ.

კოდორის ხეობის კაცები - დაღუპულთაგან ყველაზე პატარა 15 წლის, ყველაზე ასაკოვანი კი 75 წლის იყოო - არ დანებდნენ, გამაგრდნენ და დამარცხებულ საქართველოს წართმეული აფხაზეთიდან ერთი გოჯი მიწა შეუნარჩუნეს. ეს არ იყო მთავარსარდლის დამსახურება, მაშინ მას ამისთვის არ ეცალა. ბუნებრივია, ამ მძიმე რეალობის გამო, ხელისუფლებას კოდორის ხეობაში მმართველობის სადავეები ხელიდან გაეცქცა. ამგვარ ვითარებაში ხეობაში დაგროვილი იარაღიც მხოლოდ ნამდვილი მეომრების ხელში როდი მოექცა - უკონტროლობამ ბევრი ადამიანი დანაშაულის თუ შურისძიების მსხვერპლი გახადა. იქნებ, უფრო ვრცლად და დაწვრილებითაც, აუცილებლად შეგახსენებენ ამ ისტორიას კოდორის ხეობაში. ეს კი უმთავრეს სათქმელთან მისასვლელად, უმთავარესი გულისტკივილის გამოსახატავად სჭირდებათ, როცა ამ ისტორიის უგულებელყოფით, მტყუან-მართლის გაურჩევლად, ყველა ხეობელი მამაკაცი ერთ ქვაბში მოიხარშა და თავის დროზე ხეობის დასაცავად ადგილობრივი ძალებისგან შექმნილი ბატალიონი "მონადირე" გაუქმებულად გამოცხადდა.

იქ, სადაც გზა საკენისკენ ეშვება

ალპურ ზოლში, მთის კალთებზე, აქა-იქ გაშლილი საზაფხულო კარვები და დაფანტული საქონელი მოჩანს. უფრო მაღლა, მწვერვალებისკენ მთებს თოვლი ზოლებად მიუყვება. იქ, სადაც გზა სოფელ საკენისკენ იწყებს დაშვებას, გზის პირასვე კიდევ ერთი "კარვების სოფელია". ციცაბო დაღმართზე მიმავალი "ვილისისკენ" საოცარი გახელებით გამორბის ორი ნაგაზი. ცოტაც და მანქანის კარს შეასკდებიან. მძღოლი განგაშის მაუწყებელ უცნაურ სიგნალს რთავს და აქამდე გაუგონარი და უცხო ხმისგან დაზაფრული ძაღლები უმალ ცხრებიან. აქ საკენიდან ამოსულან ვიბლიანების, ცალანების, აფრასიძეების, გურჩიანების, ჩხეტიანების ოჯახები და თან ძროხები, თხები და ღორები ამოურეკავთ.

მარლენ ვიბლიანი ეს-ეს არის საკენიდან საყოფაცხოვრებო ნივთებით დატვირთული ცხენით ამოვიდა.

- ახლა კარგი ამინდებია, თორემ წვიმაში აქ ამოსვლა შეუძლებელია. მანქანები თხრილებში რჩებიან და იქიდან ისინი ბულდოზერებსაც ვერ ამოჰყავთ. საქონელს კი ვუვლით და ვამრავლებთ, მაგრამ რად გინდა, გაყიდვას იშვიათად ვახერხებთ. ამ ოღრო-ჩოღრო გზებით ზუგდიდში ჩაყვანის შემდეგ, მათ მოსასულიერებლად ზოგჯერ 2 დღეც არ გვყოფნის. ავადმყოფს დამსგავსებულ საქონელს კი, სარფიანად, აბა, როგორლა გავყიდით, - ამბობს მარლენ ვიბლიანი, რომლის წამოწყებულ საუბარსაც მერე სოფელ საკენის შესასვლელთან მცხოვრები ცალანები აგრძელებენ.

ერთი ოჯახის მაგალითზე

ჯონი ცალანის მამაპაპისეულ სახლ-კარს უზარმაზარი სათიბები აკრავს.

- აი, ამ მინდორზე დავსვით მაშინ, თუ გახსოვთ, ის ვერტმფრენი, რომელშიც ზურაბ ლაბახუაც იჯდა, - ჰყვება 34 წლის ჯონი ცალანი და მერე ომისდროინდელ სხვა ეპიზოდებსაც იგონებს.

ჯონი ცალანი საომარ ოპერაციებში ომის დაწყებისთანავე ჩაება, მაშინ ჯერ მხოლოდ 21 წლის იყო. ერთხელაც ბიძაშვილებთან და მეზობლებთან ერთად დაზვერვაზე წავიდა. სულ ექვსნი იყვნენ. დაღლილ-დაქანცულებმა ერთ-ერთ საზაფხულო კარავში დასვენება და წახემსება გადაწყვიტეს. ძალიან მალე კი აღმოაჩინეს, რომ ტყვარჩელიდან გადმოპარული "ბოევიკების" ალყაში იყვნენ. აფხაზ მზვერავებს ისინი უფრო ადრე შეემჩნიათ. ალყიდან გამოსვლა ძალიან გაუძნელდათ. მართალია, ოთხი მომხდური მოკლეს, მაგრამ თვითონაც უდიდესი ტკივილი განიცადეს: ორი ბიძაშვილი მოუკვდათ. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლამ ჯონი ცალანს მთელი სიცოცხლე დაღი დაასვა: ნერვიულობის გამო ეს ახალგაზრდა კაცი დიაბეტით დაავადდა. თუმცა, არც შემდეგ დაუხევია უკან, კოდორის ხეობისთვის იბრძოდა და ბოლოს ლოგიკურად გახდა ბატალიონ "მონადირის" წევრი. "მონადირის" წევრები არიან, ასევე, მისი უმცროსი ტყუპი ძმებიც.

ჯონი ცალანს 13 და 11 წლის გოგონები ჰყავს. ისინი ადრე იქვე, სახლის გვერდით მდებარე დაწყებით სკოლაში სწავლობდნენ, მაგრამ ახლა უკვე შორს, სოფელ გენწვისის საშუალო სკოლაში დადიან. მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრება ძალიან ძნელია, ჯონისა და მის ოჯახს, არასოდეს უფიქრია ხეობის მიტოვებაზე. ქალაქს გაქალაქებულნიც ეყოფიან, ჩვენც რომ არ მივემატოთო, - ამბობენ და ნათესავ-მეზობლებთან ერთად ხეობასაც თვითონ იცავენ და სხვა ყოფით პრობლემებსაც თვითონვე იგვარებენ. აი, თუნდაც ხეობაში ჩამოწოლილ წყვდიადს საკუთარი ხელით აშენებული მცირე ჰესების დახმარებით დააღწიეს თავი. თუმცა, ამაზე ქვემოთ.

კაცები

სოფელ გენწვისში ხალხის შესაკრებ ზარს შემოჰკრეს - ხეობაში ჩვენი ბედით დაინტერესებული ადამიანები ამოსულან, ჩვენს გულისტკივილს თბილისამდე მიიტანენო.

1936 წელს გენწვისის მოსახლეობის შემოწირულობებით - ზოგს ხარი გაუყიდია, ზოგსაც ძროხა - აგებული, ახლა უკვე ავარიული სკოლის შენობის ეზოში ხალხი ნელ-ნელა იყრიდა თავს.

მცირე ჰესების ავტორი მამუკა ცალანია თავის ქმნილებასთან ერთად.

თუ ამ ახალგაზრდების სამხედრო მომზადება არ მოსწონდათ, ჩაეტარებინათ მათთვისაც სამხედრო ინსტრუქტაჟი - ამბობს თამარ წერედიანი.

რადგან ვიღაცეები ისმენენ ჩვენს სატკივარს, იქნებ, ვიღაცეებმა შეისმინონ კიდეცო, - თავს ინუგეშებდნენ.

ტრისტან ჩოფლიანი, ბატალიონ "მონადირის" წევრი:

- "მონადირის" გაუქმების ამბავი ტელევიზიით შევიტყვეთ. 13 წლის მანძილზე ხეობის დამცველი ხალხი იმის ღირსადაც არავინ მიგვიჩნია, ჩამოსულიყვნენ ხეობაში, პირადად გაგვცნობოდნენ, ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ და თავდაცვის მინისტრის ბრძანებაც, ბატალიონ "მონადირის" გაუქმების თაობაზე, უშუალოდ ჩვენთვის გადმოეცათ.

საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, თორემ მისი მდებარეობა არ შეცვლილა. ჩვენი საგუშაგოებიდან სულ რაღაც 200 მეტრში ქალებითა და ბავშვებით სავსე ოჯახები ცხოვრობენ, იფიქრა კი ვინმემ, ჩვენი გაუქმების შემდეგ, ვინ დაიცავდა მათ უსაფრთხოებას? ჩვენ დღესაც სხვა რა გზა გვაქვს, ისევ იქ, ჩხალთასთან ვდგავართ, ერთმანეთს ძველებურად ვენაცვლებით, ახლა უკვე გაუქმებულები.

გიონი წიფიანი, ბატალიონ "მონადირის" წევრი:

- 13 წელია ხეობიდან ფეხი არ მოგვიცვლია. ჩვენც შეგვეძლო თბილისში წასვლა და იქ მშვიდად ცხოვრება, მაგრამ ეს თავში აზრადაც არ მოგვსვლია. ჩვენს კუთხეს, სახლ-კარს ვიცავდით, რისთვისაც ცხადია, მადლობას არავის ვთხოვდით და ვთხოვთ, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი წესი და რიგი აქვს. ერთგულების პასუხად ყველას ერთად ბანდიტები გვიწოდეს და შეურაცხგვყვეს იმავე მტრის თვალში, რომლის პირისპირაც ვდგავართ, აგერ უკვე რამდენი წელია.

პრეზიდენტი ამბობს ხოლმე, როცა ახალციხიდან და ახალქალაქიდან რუსეთის ბაზები გავლენ, ამ ბაზებში მომსახურე ყველა ადგილობრივ ჯარისკაცს დავასაქმებთო. ჩვენ მიმართ რატომ არ ამბობენ იგივეს? ასეთი რა დანაშაული მიგვიძღვის ქვეყნისა და ერის წინაშე?

თამაზ პირველი, სოფელ გენწვისის გამგებელი:

- 13 წელიწადია, იზოლაციაში ვართ. რა მოხდება, ამა თუ იმ სამინისტროების წარმომადგენლები პერიოდულად მაინც ჩამოვიდნენ ხეობაში და თუნდაც ვალი მოიხადონ მის წინაშე. ოღონდ, არა ისე, როგორც ოქრუაშვილმა "მოიხადა". ჩვენი ერთადერთი ნუგეში ტელევიზორია, მოთმინებით შევცქერით, რას იტყვიან ახალს კოდორის ხეობაზე, მაგრამ ვის ვახსოვართ. თუმცა, როცა გავახსენდით, ნეტა, მაშინაც არ გავხსენებოდით.

მართალია, ხეობაში არიან ახალგაზდები, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, ზოგსაც მძიმე, ზოგსაც უფრო მსუბუქი, მაგრამ ეს ხომ არ უნდა ექცეთ მთელი ცხოვრების სასჯელად? ბევრი მათგანი ნანობს კიდეც ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ვის შესჩივლოს, მღვდელთან მოინანიოს?

ქალები

კოდორის ხეობაში ქალები ამბობენ, რომ კაცები ხელფასზე ლაპარაკს უკადრისობენ: ხელფასისთვის ხომ არ ვიცავდით და ვიცავთ აქაურობასო. არადა, აქაური კაცები უცერემონიოდ ისე დაითხოვეს, რომ ზოგ მათგანს 17-18 თვის ხელფასი აქვს ასაღები. გარდა ამისა, საპენსიო ასაკის მეომრებს ან პენსია არ ეკუთვნოდათ, ან უბრალო მადლობა მაინც?

თამარ წერედიანი, გენწვისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:

- ბატალიონის დაშლა თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. როცა ხეობა ჩაკეტილია და შემოსავლის სხვა არანაირი წყარო არ არსებობს, 140-150-ლარიანი ხელფასიც რაღაცას ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში, წამლის ფული მაინც იყო.

თავის დროზე ჩამოვიდა აქ გია ბარამიძე და "მონადირის" შემადგენლობა 300-მდე დაიყვანა. ბარამიძის შემდეგ ხეობაში მხოლოდ ირაკლი ალასანია ჩამოვიდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მით უმეტეს, თუ დაპირებებსაც შეგვისრულებს.

თუ ამ ახალგაზრდების სამხედრო მომზადება არ მოსწონდათ, ჩაეტარებინათ მათთვისაც სამხედრო ინსტრუქტაჟი, ან რა ვიცი, რას ეძახიან. მათზე უკეთ ვინ იცნობს, ან ვინ დაიცავს ხეობას? გამოდის, საკუთარი კუთხის დაცვის უფლებასაც ართმევენ ჩვენს კაცებს. ჩვენ მშვენიერი ინტელიგენცია გვყავს და გულდასაწყვეტია, რომ ადამიანების გარკვეულ ჯგუფთან მთელ მოსახლეობას აიგივებენ.

გმირობის ორდენებს ნამდვილად არ ვითხოვთ, მაგრამ დანარჩენმა საქართველომ უნდა გვცნოს და გვაღიაროს თავის ნამდვილ ნაწილად. გაიგოს ყველამ, რომ ჩვენ არაფერი დაგვიშავებია და თავის გასამართლებელიც არაფერი გვჭირს. საშინელებაა, თავს გარიყულად რომ გრძნობ, მით უმეტეს, როცა 8-9 თვე ისედაც მოწყვეტილი ხარ სამყაროს.

ეთერ ლაშხია, გენწვისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

- ძალიან ჭირს ხეობაში ცხოვრება. ბატონმა ოქრუაშვილმა კუბდარითა და ხინკლით გასიებული სვანები გვიწოდა, მაგრამ სინამდვილე სულ სხვანაირია. სტუმრის გასამასპინძლებლად ყველაფერი გამოგვაქვს, მაგრამ ისე არ გვილხინს, რომ ყოველდღიურად ჩვენც იგივე მივირთვათ. დედამთილი რომ გარდამეცვალა, ჩემი მეუღლე ორმოცისთვის საჭირო პროდუქტების ჩამოსატანად ზუგდიდში წავიდა. უკან კი ვერაფრით მობრუნდა და ორმოცი უმისოდ გადავიხადეთ ნათესავ-მეზობლებში მოგროვილი პროდუქტით. მეტსაც გეტყვით, ჩემს ხელფასს თბილისში ჩემი ბიჭი და რძალი იღებენ, სხვა რითი იცხოვრონ, მე კი ხუთი თეთრიც არ მრჩება, რომ ჩემი ფეხმძიმე რძალი ვინახულო. ის კი არა და, როგორც ჩანს, ვერც შვილიშვილს ვინახულებ სექტემბერში, როცა გაჩნდება.

რატომღაც გვეგონა, რომ ახალი ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას მოგვაქცევდა, პირიქით კი მოხდა. წარმოიდგინეთ იმ მშობლების გულისტკივილი, რომელთაც ხეობის დაცვისას შვილი დაეღუპათ, ან ნაღმზე აუფეთქდათ და ახლა თბილისიდან იგებენ, რომ ისინი ბანდიტები ყოფილან. ბანდიტიზმს რაც შეეხება: განა დედაქალაქში არ ხდება ძარცვა და მკვლელობები? კიდევ კარგად არის აქაურობა, სადაც სამართალდამცავი ორგანოები არ შემოსულან და მხოლოდ ტრადიციები განსაზღვრავს ურთიერთობებს.

მცირე ჰესების კასკადი - აღმოჩენა კოდორში

"თბილისმა მიგვატოვა!" - ეს ყველაზე მკაცრი შეფასება იყო ხეობაში მოსმენილ ყველა სხვა შეფასებათა შორის და ის გენწვისელ მოხუცს - ბიძინა ქოჩქიანს ეკუთვნოდა.

რაც არ უნდა საკვირველი იყოს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით დასერილ კოდორის ხეობაში, დენიც ჩვეულებრივად პრობლემატური იყო. ვისთვის უნდა ეცადათ, აქ ისედაც არავინ ამოდიოდა და კოდორის ხეობის მცხოვრებლებმა უშუქობის პრობლემაც საკუთარი ძალითა და ფანტაზიით დაძლიეს.

საქართველო რომ ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა, ამაზე ძალიან ბევრს და ძალიან ხშირად ლაპარაკობენ არა მხოლოდ ენერგეტიკოსები. "ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყნის" თეორიით კი კოდორის ხეობაში რეალურად დაინტერესდნენ, მცირე ჰესების აშენება გადაწყვიტეს. თანდათან მდინარე კოდორის გაყოლებაზე არაერთი მცირე ჰესი გაჩნდა. უფრო მეტიც, ახლა არათუ თითოეულ სოფელს აქვს საკუთარი მცირე ჰესი, არამედ ბევრ ოჯახსაც.

ნიშანდობლივია, რომ ყველა მცირე ჰესი ერთსა და იგივე პრინციპზე არ არის აგებული, ყოველი მათგანი მისი ავტორის შემოქმედებითი უნარისა და ფანტაზიის შესაბამისად იცვლის სახეს. სოფელ საკენში, ცალანების სახლის გვერდით მდებარე ჰესი ღელე ჰარვაზეა აგებული. ღელე მდინარე კოდორის ზემოთ მიედინება. იქ, სადაც ჰარვა უფრო ჩქარია, დაახლოებით 3 ტონამდე წყალი 20-მეტრიანი მილით ეშვება მდინარე კოდორისკენ და სატვირთო მანქანის ("ზილი") უკანა ხიდისა და მისი მუშაობის პრინციპზე აგებულ მოწყობილობას ეცემა. ამ ჰესის მთავარი ავტორი ენერგეტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მამუკა ცალანია, მერე ყველა საკენელი, ვინც მას ამ მშენებლობისას მხარში ედგა.

საღამოობით ზოგჯერ ძაბვა ეცემა ხოლმე და გარესამყაროსთან ერთადერთი დამაკავშირებელი ტელევიზორიც დუმდება. ეს მაშინ ხდება, როცა ყოველდღიურ ფუსფუსში დაღლილებს დღის ბოლოს ჰესზე ჩასვლა და მისი ზოგიერთი ნაწილის გაწმენდა დაეზარებათ. ესეც სპეციფიკური საკითხია, რომლის ავან-ჩავანიც თავადვე იციან.

საქართველოს ძველი ხელისუფლება კოდორის ხეობაში არსებული ამ თავისებური ამბებით არც დაინტერესებულა. შეიძლება, მისთვის ყური არც მოუკრავს. იგივეს გამეორება კიდევ უფრო წამგებიანი იქნება საქართველოს ახალი ხელისუფლებისათვის. მან ჯერ კოდორის ხეობის ცხოვრების წესი, სირთულეები უნდა გაიცნოს, შეისწავლოს და გადაწყვეტილებებიც შესაბამისად უნდა მიიღოს. თბილისში, დრო და ჟამის შესატყვისად, თბილ თუ გრილ კაბინეტებში დაწერილი სცენარი (თუ მას ასე ვუწოდებთ) ხეობაში, საკუთარი თავისა და ცის ანაბარა მიტოვებულ ადამიანებთან საურთიერთობოდ არ გამოდგება. ეს სცენარი იქვე ხეობაში, იმ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობისას უნდა შეიქმნას.

პროლოგის მაგიერ

საკენი-გენწვისის გზა სოხუმიდან მომავალი ადამიანების მიერ დატოვებული მსუბუქი თუ სატვირთო მანქანებით არის მოფენილი. ერთგან მანქანები ღობის მაგივრადაც გამოუყენებიათ, ერთმანეთის მიყოლებით ჩაურიგებიათ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბაღში მდგარი "სოხუმი-აეროპორტის" მარშრუტის ნაცნობი წითელი იკარუსი, იქნებ, მომავალი რეისის შესრულების მოლოდინშიც კი.

ხელშეუხებელი ბასაევი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მისი ინტერვიუ ცნობილ რუს ჟურნალისტთან ანდრეი ბაბიცკისთან ამერიკული ტელეკომპანია ეი-ბი-სი-ს ეთერში გავიდა. რუსეთის ხელისუფლებამ უკვე გამოთქვა პრეტენზია "ორმაგი სტანდარტების" პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-მ შეიმუშავა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მოვლენათა უცნაური დამთხვევით, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვასილი პანჩენკოვმა ზუსტად იმავე დღეს განაცხადა, რომ რუსულმა სამხედრო ძალებმა იცოდნენ ბასაევის ადგილსამყოფელი, მაგრამ გადაწყვეტილება მიიღეს "არ დაეკავებინათ იგი". თურმე, რუს სამხედროებს სპეცოპერაციით ბასაევის დაკავებაც და ლიკვიდაციაც შეეძლოთ, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობაში სისხლისღვრის აცილების მიზნით ეს სპეცოპერაცია არ განახორციელეს. **"გასულ კვირას, ბასაევმა ვედენოს ხეობაში თავისი მებრძოლების შეკრება სცადა, რათა დაღესტნის რესპუბლიკის მთიან რეგიონში განეხორციელებინა თავდასხმა,"** - განაცხადა პანჩენკოვმა.

პანჩენკოვის ინფორმაციით, მთავარი ჩეჩენი ტერორისტის გეგმების განხორციელება ჩაიშალა, რადგან მოსალოდნელი **"300-400 მებრძოლის ნაცვლად, მხოლოდ 40 გამოცხადდა. "ბოევიკებმა" არ უპასუხეს თავისი ხელმძღვანელის მოწოდებას, ამით შეურაცხყოფილი ბასაევი საბოლოდ ხეობაში აღარ გამოჩენილა".**

"ფედერალური ძალები ჩეჩნეთის ვედენოს რაიონში სპეცოპერაცის ჩატარებისათვის მზად იყო, მაგრამ იგი გააუქმეს, რადგან ამ სამხედრო ოპერაციას შეიძლებოდა, მშვიდობიან მოსახლეობაში სისხლისღვრა მოჰყოლოდა," - აღნიშნა პანჩენკოვმა. 40 მებრძოლი თავისი ხელმძღვანელის უშედეგო ლოდინის შემდეგ უპრობლემოდ დაბრუნდა საკუთარ სახლში.

ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა ტაუს ჯაბრაილოვმა პანჩენკოვის განცხადებებთან დაკავშირებით მკვეთრი უკმაყოფილება გამოთქვა. **"პირველად მესმის, სპეცოპერაცია არ განხორციელებულიყოს მთებში, იმის შიშით, რომ ამ ოპერაციას მშვიდობიან მოსახლეობაში შეიძლება მსხვერპლი მოჰყოლოდა. ამავე დროს, თუნდაც ერთი "ბოევიკის" დასაჭერად სპეცოპერაციები ხორციელდება ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში და მათ ხშირად მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფა მოჰყვება ხოლმე,"** - განაცხადა ჯაბრაილოვმა ("გაზეთა.რუ"). ამიტომ ძნელად დასაჯერებელია, როგორ გაუშვეს 40 ადამიანი (ბასაევის მებრძოლები), რომლებმაც, პანჩენკოვის თქმით, ვედენოს ხეობაში თავი მოიყარეს.

მართლაც, "მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ასეთი ჰუმანიზმი", ძნელად სარწმუნოა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც უკვე რამენიმე წელია, დასახლებული სექტორების დაბომბვის, სისხლიანი "წმენდების", მკვლელობების და ჩეჩნეთში მცხოვრებთა გაქურდვის ფაქტები არ მცირდება. ამასთან, ცხადია, რომ "ბოევიკთა" შეკრება (თუკი ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი) ვედენოს რაიონის რომელიმე სოფელში კი არ შედგა, არამედ ტყეში ან ხეობაში.

აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა "ადგილობრივი მშვიდობიან მოქალაქეები" იმ ადგილზე აღმოჩენილიყვნენ, სადაც ბასაევის აყვანის სპეცოპერაცია უნდა განხორციელებულიყო. თუმცა, პანჩენკოვის მტკიცებით, "იქ იყო მრავალი მშვიდობიანი ადამიანი, რომლებიც იმ მიზნით კი არ მივიდნენ, რომ ბასაევის მოსაზრებებს იზიარებენ და მხარს უჭერენ, არამედ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ იმედი აქვთ (ბასაევთან მყოფი) თავისი ნათესავებისა და ახლობლების დაბრუნების... რათა არ მიეცათ მათთვის საშუალება, კიდევ ჩაედინათ დანაშაული ბასაევის დაჯგუფებაში მონაწილეობით."

მოკლედ, ბასაევს კიდევ ერთხელ დიდად "გაუმართლა". მშვიდობიანი ჩეჩენი მოსახლეობა რომ არ ყოფილიყო მახლობლად, მას უეჭველად დააკავებდნენ ან უკვე მერამდენედ გაანადგურებდნენ. ახლა კი, მხოლოდ ამერიკული განუკითხაობის მიმართ აღშფოთებაღა დაგვრჩენია, რომელმაც "ჩეჩენ ბინ ლადენს" ტელეეთერი დაუთმო; ვაგზავნოთ საპროტესტო ნოტები და ვლანძღოთ "შეჩვენებული ბურჟუები" მათი "ორმაგი სტანდარტების" გამო.

ხოლო ბასაევის ინტერვიუს გაშვებისთვის ამერიკა პასუხს აგებს. გაზეთმა "კომსომოლსკაია პრავდა"-მ გადაწყვიტა, აშშ-ს საპასუხო დარტყმა მიაყენოს. ელექტრონულ მედიაში გავრცელებულ ცნობებს თუ დავუჯერებთ, "კომსომოლკი"-ს ჟურნალისტები უსამა ბინ ლადენის ინტერვიუს გამოქვეყნებას აპირებენ. ძველი პრინციპი - "Сам дурак!" - ზოგჯერ შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს.

თვითონ ბასაევს, რა თქმა უნდა, სპეციალური სამსახურები მოძებნიან და როდესმე ნამდვილად იპოვნიან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას აშშ შეიფარებს. მაგრამ ამისთვის, როგორც აცხადებენ, საჭიროა ერთადერთი რამ - იმ დროს მის მახლობლად მშვიდობიანი მოსახლეობა არ აღმოჩნდეს.

ლონდონი მკაცრი საპოლიციო ზედამხედველობის ქვეშ

7 ივლისს ლონდონის მეტროს სადგურებში მომხდარი აფეთქებების შემდეგ, რასაც დიდი რაოდენობით მსხვერპლი მოჰყვა და ორი კვირის შემდეგ ავტობუსის გაჩერებაზე ანალოგიური ტერაქტების განმეორებიდან, თითქმის მთელი თვეა გასული, გამოძიება ჯერ მაინც არ დასრულებულა და, მით უმეტეს, ჯერ კიდევ არ განელებულა შიში და საფრთხე. პოლიცია გაძლიერებულ რეჟიმში პატრულირებს ქუჩებში, მეტროს სადგურებზე, ტურისტულ ობიექტებზე და საფინანსო დაწესებულებებში. თანაც ფორმა, რომელიც კონსტებლებს აცვიათ, თვალშისაცემი ყვითელი ფერისაა, რაც, შესაძლოა, უსაფრთხო გარემოს ასოციაციის გაძლიერების მიზნითაა გაკეთებული. როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, სკოტლენდ იარდის ასეთი გადაწყვეტილება საზოგადოებისადმი შემდეგი შინაარსის მესიჯია: "ჩვენ აქ ვართ და თანაც ბევრნი".

პოლიციის მიერ გაკეთებული განცხადებით, ფორმიანი თანამშრომლების გარდა, სამოქალაქო ტანსაცმელში შემოსილი პოლიციელებიც მრავლად არიან ლონდონის ქუჩებში, რაც უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს იძლევა.

რაც შეეხება უშუალოდ 7 ივლისის ტერაქტის დეტალებს, ნიუ იორკის პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიებით, აფეთქებისას გამოყენებულ იქნა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო პროდუქცია, რაშიც დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობები. როგორც აღმოჩნდა, მაღალი კლასის სამხედრო ასაფეთქებელი ნივთიერებების ნაცვლად ტერაქტები ისეთი ნივთიერებების ნაზავით განხორციელდა, როგორიცაა წყალბადის ზეჟანგი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება თმის გამათეთრებელ საღებავებში, ლიმონმჟავასა და სხვადასხვა სასურსათო პროდუქციის შესანახად. ნიუ იორკის პოლიციის კომისრის რაიმონ კელის თქმით, როგორც ჩანს, ტერორისტებმა თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად რკინა-კავეულის მაღაზიებსა და სილამაზის სალონებს მიაკითხეს. წყალბადის ზეჟანგზე დამზადებული HMDT ტიპის ასაფეთქებელი ნაერთი ოთახის ტემპერატურაზე თვისებებს იცვლის, სწორედ ამიტომ, ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ამოქმედებამდე მას ლიდსში ჩვეულებრივ ღამის გასათევ შენობაში, ე.წ. "flophouse"-ში ინახავდნენ.

ამერიკელი კოლეგების აზრს იზიარებენ ბრიტანელი გამომძიებლებიც, რომელთა განცხადებითაც ლონდონამდე ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირება, სავარაუდოდ, სპეციალური მაცივრების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ბრიტანელი სამართალდამცავები გამოძიების შედეგებს არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ "გამოძიების პროცესი კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ".

რაც შეეხება ლონდონის ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირების შესახებ არსებულ სტატისიკას, მოკლულია ერთი ახალგაზრდა და დაკავებულია 14.

24 საათი

სახელმწიფო გადატრიალება მავრიტანიაში

მავრიტანიის დედაქალაქში გუშინ შედარებით სიმშვიდე იყო. დასავლეთ აფრიკის ქვეყნის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა იმ სამხედროთა ვინაობის გაგებას, ვინც წინა დღეს სახელმწიფო გადატრილება მოაწყო და, მათივე განცხადებით, მავრიტანიაში ოცწლიანი "ტოტალიტარული" რეჟიმი დაამხო.

გამარჯვებულმა ჯგუფმა გუშინ ტელევიზიით განცხადება გააკეთა და მავრიტანიელებს პრეზიდენტ მაუა ულდ სიდ`აჰმედ ტაიას ჩამოგდება ამცნო. სამხედროთა თქმით, ბოლო წლებში განხორციელებული გადატრიალებათა სერიებიდან უკანასკნელი წარმატებით დასრულდა და "დიქტატორული" რეჟიმი უსისხლოდ დაემხო.

განცხადებას ხელს აწერს "სამხედრო საბჭო სამართლიანობისა და დემოკრატიისთვის". გუშინვე ცნობილი გახდა იმ ადამიანთა ვინაობა ვინც სამხედრო საბჭოში არიან წარმოდგენილნი.

სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობს ელი ულდ მუჰამედ ვალი. აღსანიშნავია, რომ ვალი აქამდე ჩამოგდებული პრეზიდენტის მხარდამჭერად ითვლებოდა. სხვათა შორის, სწორედ მისი ხელშეწყობით შეძლო ტაიამ 1984 წელს ქვეყნის სათავეში მოსვლა (ისევ და ისევ სამხედრო გადატრიალების მეშვეობით).

1987 წელს ვალმა ეროვნული უსაფრთხოების ძალების ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ამის გამო იგი ყოველთვის დიდი გავლენით სარგებლობდა მავრიტანელ სამხედროთა შორის.

ვალის გარდა სამხედრო საბჭოში შედის 17 უმაღლესი ჩინის სამხედრო პირი. პუტჩისტები აცხადებენ, რომ ქვეყნის მართვას მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ითავებენ. ეს დრო გარდამავალ პერიოდად გამოცხადდა. სამხედროთა აზრით, ქვეყნის დემოკრატიული არჩევნებისთვის მოსამზადებლად სრული ორი წელიწადია საჭირო.

გავრცელებული განცხადების თანახმად, პრეზიდენტი ტაია ხელისუფლებას ჩამოაშორეს ქვეყნის მართვისას დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომებისა და მავრიტანელი ხალხის პრობლემების იგნორირების გამო.

დღეისათვის, დედაქალაქ ნუაკშოტში ყველა მსხვილი ავტომაგისტრალი სამხედროებსა და უშიშროების ძალებს აქვთ დაკავებული. გარდა ამისა, პუტჩისტები აკონტროლებენ ყველა სტრატეგიულ ობიექტს, მათ შორის ტელევიზიასა და რადიოს. დახურულია ნუაკშოტის საერთაშორისო აეროპორტი და საზღვრები ყველა მეზობელ ქვეყანასთან.

თუმცა, მანამდე პრეზიდენტმა ტაიამ მოახერხა ქვეყნის დატოვება და ამჟამად ნიგერიას აფარებს თავს.

თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის გაერომ, აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ, დაგმო მავრიტანიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება.

მავრიტანიაში მომხდარ მოვლენებს გმობს ამერიკის შეერთებული შტატებიც. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ ნებისმიერი არაკონსტიტუციური ან ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლის წინააღმდეგ გამოდის. ამასთანავე, სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს სამხედროებს, თავიდან აიცილონ ძალადობა და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი.

24 საათი

რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელდა

ნავთობის და გაზის ექსპორტის გაზრდის ხარჯზე რუსეთის ეკონომიკის ზრდამ, პრაქტიკულად, საკუთარი რესურსი ამოწურა. ამის შესახებ გუშინ რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გერმან გრეფმა განაცხადა.

2005 წლის პირველი ექვსი თვის ეკონომიკური შედეგებისადმი მიძღვნილ მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას გრეფმა აღნიშნა, რომ წლის პირველ ნახევარში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდამ 5,6 პროცენტი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ორი პროცენტით ნაკლებია. წელს ეკონომიკის ზრდა 5,9 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი.

გრეფის მონაცემებით, 2005 წლის პირველ ექვს თვეში ინფლაციამ 8 პროცენტი შეადგინა. ეს ორი პროცენტით მეტია, ვიდრე 2004 წლის პირველ ნახევარში. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, 2005 წელს რუსეთში ინფლაცია პროგნოზირებადზე ორჯერ მეტი იქნება, მაგალითად, სასურსათო საქონელზე ფასები 1,5-ჯერ სწრაფად იზრდება, ვიდრე შარშან.

ნავთობის წარმოება რუსეთში კვლავინდებურად ყველაზე შემოსავლიან დარგად რჩება. მისი შემოსავალი ოთხჯერ-ხუთჯერ მეტია, ვიდრე მანქანათმშენებლობაში, რომელიც ამჟამად ვარდნას განიცდის. რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოხსენებაში მოყვანილი მონაცემებით, სამამულო ავტომანქანების წარმოება 6,5 პროცენტით შემცირდა, იმპორტი კი 60 პროცენტით გაიზარდა. რუსეთის მთავრობაში აღიარებენ, რომ რუსული საავტომობილო მრეწველობის რეანიმაციისთვის მიღებული ზომები, კერძოდ, ნახმარი ავტომანქანების საიმპორტო ტარიფების გაზრდა არცთუ ეფექტური აღმოჩნდა. გერმან გრეფი მთავრობას ალტერნატივად რუსეთის ქარხნებში იმპორტული ავტომანქანების წარმოების გაზრდას სთავაზობს.

ყველა ეს ფაქტორი იმაზე მეტყველებს, რომ წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა შენელდება. ამგვარად, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ დასახული ამოცანა - ინფლაციის შეკავება და მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაორმაგება - პრაქტიკულად არ სრულდება, - აღნიშნავს ტელეკომპანია "ენ-ტე-ვე".

მიუხედავად ამისა, რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ ფრადკოვს იმედი აქვს, რომ მდგომარეობის გამოსწორება მოხერხდება. "ჩვენ წინ კიდევ ხუთი თვე გვაქვს, ფრთების დაშვება ნაადრევია," - თქვა მან.

ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის კვების და მსუბუქ მრეწველობაში გარკვეული დადებითი დინამიკა შეინიშნება. 2004 წელთან შედარებით საზღვარგარეთ კაპიტალის გადინება 10-დან 5 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა, სასწრაფო ზომები მიიღოს რუსეთის ეკონომიკის ჩიხიდან გამოსაყვანად.

ინტერპრესნიუსი

თურქეთის ტურისტულ ცენტრებში კვლავ აფეთქების ხმა გაისმის

თურქეთში ოთხშაბათს შუაღამისას კიდევ ერთი ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაშავდა. პოლიციის ცნობით, სტამბოლში მომხდარი აფეთქება, სავარაუდოდ, ტერაქტის შედეგი არ ყოფილა, თუმცა თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ აფეთქების მიზეზი ნაგვის კონტეინერში მოთავსებული ბომბი იყო.

აფეთქება სტამბოლის აზიურ ნაწილში, პენდიკის რაიონში განხორციელდა. ტელეკომპანია CNN Turk-ი იუწყება, რომ ინციდენტისას აფეთქდა მანქანა, რომელშიც დაღუპული დედა-შვილი იმყოფებოდა. სხვა თურქული ტელეარხის NTV-ს მონაცემებით, ასეფეთქებელი მოწყობილობა ნაგვის კონტეინერში იყო დამონტაჟებული.

აფეთქებამ დააზიანა მახლობლად გაჩერებული ცხრა მანქანა და ჩაამსხვრია მინები მიმდებარე შენობებში.

ბოლო თვეებში თურქეთში ტერაქტები გახშირდა. სამშაბათს საკურორტო ქალაქ ანტალიაში ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. შედეგად ექვსი ადამიანი დაიჭრა. აღსანიშნავია, რომ მაშინაც ბომბები ასევე ნაგვის ყუთებში იყო დამონტაჟებული.

აფეთქებები მოხდა გასულ თვეშიც. 16 ივლისს საკურორტო ქალაქ კუშადასში მომხდარ ტერაქტს 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 14 დაშავდა. დაჭრილთა შორის უცხოელი ტურისტებიც იყვნენ.

10 ივლისს კიდევ ერთ კურორტზე - ჩეშმში მოხდა აფეთქება. ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მომხდარ ტერაქტის შედეგად 21 ადამიანი დაშავდა.

ხელისუფლება ბოლო ხანებში მომხდარი აფეთქებების გამო ქურთ სეპარატისტებს ადანაშაულებს. თუმცა, მომხდარ ტერაქტებზე პასიუხისმგებლობა დღემდე არავის უკისრია.

24 საათი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/203
მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

ქ. ქუთაისში ავტომშენებლის და ირაკლი აბაშიძის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით.

ა) ქ. ქუთაისში ავტომშენებლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 54476 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარისა და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 300 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS/203/01);

ბ) ქ. ქუთაისში ირაკლი აბაშიძისა ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 3332 კვ მ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 270 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი "KTS/03/02).

კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.

2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების შესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი).

3. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39. თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შეიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 183 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757
ლარის ანგარიში №3834080001
დოლარის ანგარიში №334180001

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოას მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 3021, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 15 სექტემბრის 13.00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 47000 (ორმოცდაშვიდიათას) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS/203/01-სთვის, და 26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KT203/02-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ. №7 ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 15 სექტემბერს 13.00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

ინფორმაცია

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ "დასავლეთ საქართველოს მრავალპროფილიანი სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის "ბ" კორპუსის" ნაწილის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე შ.პ.ს. "ბლოკ-ჯორჯიასთან" დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის მიერ დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შესრულებული ან შესასრულებელი სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების დადგენის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემოწმების საექსპერტო და სპეციალური სამუშაოების შესრულებაზე.

2005 წლის 20 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის" რეანიმობილის შესყიდვაზე გამარჯვებულთან - საქართველოში კოტ დ, ივუარის გენერალური საკონსულოსთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2005 წლის 15 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის" სამედიცინო აპარატურის და ინვენტარის შესყიდვაზე გამარჯვებულ ორგანიზაციებთან - შპს "აი ჯი ჯი", შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი", შპს "ივერმედი", შპს "მედტექნიკა" და შპს "ჯი ემ ესი" დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2005 წლის 19 აპრილს გამოცხადებულ ღია ორეტაპიან ტენდერში სამედიცინო ობიექტებისათვის საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე გამარჯვებულ ორგანიზაციებთან - სს "საქქალაქმსენპროექტი", შპს "მედპროექტი" და შპს "ხილიანი" დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იწყებს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველთა სერტიფიცირებას, რომელიც ჩატარდება ტესტირების მეთოდით.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოამზადოს და მოგვაწოდოს ტესტები საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

პროგრამა და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ცესკო-ს ვებ-გვერდზე w ან მოგვმართოთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 სთ-დან 18 სთ-მდე (შესვენება 13 სთ-დან 14 სთ-მდე) ტ: 98 83 42

საკონტაქტო პირი: ნათია წულაია

განცხადება

სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 29 ივლისის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ "უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების" - "უმუშევრის დროებითი დასაქმების პროგრამის" ფარგლებში საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ ღია ერთეტაპიან ტენდერში ამოღებულ იქნეს ლოტი 5 - ჩხოროწყუს რაიონის სასწრაფო დახმარების სადგურის რეაბილიტაცია.

კალათბურთი

"ატლანტა ჰოქსი" ფაჩულიაში 16 მილიონს იხდის

"მილუოქი ბაქზის" ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შეზღუდული თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, გუშინ "ატლანტა ჰოქსთან" წინასწარ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. შეთანხმების თანახმად, საქართველოს ნაკრების ლიდერი ოთხ წელიწადს დაჰყოფს ატლანტელ ქორებთან და ამ ხნის განმავლობაში 16 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

და კიდევ, იმ შემთხვევაში, თუ მილუოქელები ფაჩულიას თავისთან დატოვებას გადაწყვეტენ, მაშინ მათ უახლოეს შვიდ დღეში ატლანტელების წინადადება უნდა გაიმეორონ.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულია NBA-ში 2003 წლიდან თამაშობს. მისი დებიუტი კი "ორლანდო მეჯიკში" შედგა.



ზაზა ფაჩულიამ ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირი კონტრაქტი გააფორმა

ალპინიზმი

შხარამ კანადელი მთამსვლელი იმსხვერპლა

სამი დღის წინათ საქართველოს კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ შხარაზე (შხარა მთავარი 5068მ. დასავლეთ შხარა 5057მ.) ასვლისას დაიღუპა კანადელი მთამსვლელი პიტერ ევერეტი. კანადელი მთამსვლელის დაღუპვის შესახებ დაღუპულის თანამემამულემ მიშელ დორსმა გუშინ მესტიის რაიონული ცენტრის პოლიციის განყოფილებას ამცნო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოლიციის განცხადებით, რაც დაღუპულის მეწყვილის მონაყოლს ეფუძნება, ევერეტსა და დორსს უბედურება თავს მაშინ დაატყდათ, როდესაც უცაბედად კლდეს ყინულის დიდი ნაწილი მოწყდა და ევერეტი ქვეშ მოიყოლა. დაშავებულია თავად დორსიც, თუმცაღა არა ისე, რომ მწვერვალისთვის თავი ვერ დაეღწია.

ამჟამად რეგიონის პოლიციის განყოფილება მაშველთა სამსახურის მობილიზებითაა დაკავებული, რათა დაკარგული კანადელი მთამსვლელის ცხედარი ჩამოასვენონ.

ჩვენის მხრივ იმას დავძენთ, რომ საქართველოს უმაღლესი მწვერვალი პირველად 1933 წელს დაიპყრეს. პირველი ამსვლელები კი ქართველები გახლდნენ.

ფეხბურთი

ვანდერლეი ლუშემბურგო: "უკმაყოფილოები არ მჭირდება"

ორწლიანი პაუზის შემდეგ "რეალი" ტიტულებისთვის ბრძოლას აპირებს.

მადრიდის "რეალის" მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა, რომ ავსტრიაში გუნდს უაღრესად შრომატევადი საქმე ელოდება. ის შეეხო გუნდიდან რამდენიმე მოთამაშის წასვლის თემასაც.

- შეიძლება ითქვას, რომ რობინიოსა და ბაპტისტას მოსვლის შემდეგ გუნდი მთლიანად დაკომპლექტებულია?

- ვფიქრობ, ამჟამად ჩვენ უმაღლესი კლასის შემადგენლობა გვყავს, ვისთანაც შეიძლება ახალი სეზონის დაწყება. თუმცა, ამჟამად უფრო ავსტრიული შეკრება მაღელვებს. მუშაობის დროს უფრო კარგად გავიგებთ, თუ კიდევ რა არის ჩვენთვის აუცილებელი.

- თქვენ ავსტრიულ შეკრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?

- დიახ. ნამდვილი მზადება ახალი სეზონისთვის სწორედ ახლა იწყება. ტურნე მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო კლუბისთვის, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით მზადება სწორედ ახლა იწყება. ის უაღრესად მძიმე იქნება.

- ფეხბურთელები ავსტრიულ შეკრებას როგორ აღიქვამენ?

- ისინი კმაყოფილნი არიან. ტურნეს დროს ჩვენ ვერ ვვარჯიშობდით, მხოლოდ თამაში გვიწევდა. სპორტულ ფორმაში კი მხოლოდ ახლა შევალთ. ფეხბურთელებმა ეს იციან და ჩვენ სწორედ ამაზე ვიმუშავებთ.

- ფიგუ თავის გუნდთან ერთად ჩამოფრინდა ავსტრიაში?

- ფიგუ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელია. მართალია, ის მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ ვიდრე ის არ წასულა, ჩვენთან იქნება. მას "რეალთან" კონტრაქტი აკავშირებს და ის გუნდის წევრია.

- რობინიოს მოსვლის შემდეგ მაიკლ ოუენი თქვენს გეგმებში შედის? და რა შეგიძლიათ თქვათ გუნდში გუტის მომავალზე?

- მათ გუნდთან კონტრაქტი აკავშირებთ. ჩემს გეგმებში ყველა ფეხბურთელი შედის, ვისაც კონტრაქტი აქვს და ჩემს განკარგულებაში იმყოფება. დანარჩენი კი ის თემებია, რომლებშიც მე არ ვერევი.

- თქვენ გინდოდათ რობინიო ავსტრიაში წამოსულიყო?

- რა თქმა უნდა. რობინიო შეიძინეთ და მე მსურდა მასთან სეზონის წინ მუშაობა, მაგრამ ეს შეუძლებელია.

- გუშინ ბაპტისტამ თავის ახალ გუნდში პირველი ვარჯიში გამართა. რას იტყვით მასზე?

- მას ადაპტაციისთვის დრო დასჭირდება, მაგრამ მე ვიცი, ის როგორი კლასის ფეხბურთელია.

- ვუდგეიტი ფორმაში შედის?

- ის ჩვენთან არის, მაგრამ მას ჯერჯერობით თამაშმა არ მოუწია. ის კარგი ფეხბურთელია და მისი უნდა გწამდეს.

- პირველ გუნდთან ერთად დუბლშემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი იმყოფება.

- დიახ, ჩვენ კოდინა შემოგვიერთდა, რომელიც შეკრებაზე მესამე მეკარე იქნება. ყველა ამ ფეხბურთელისთვის ეს შეკრება თავის გამოჩენის კარგი შანსია. მათ ეს შანსი უნდა გამოიყენონ, თუ პირველ გუნდში ადგილის დამკვიდრება სურთ.

- როგორია თქვენი მიზანი წლევანდელ სეზონში? სამივე ტიტულისთვის იბრძოლებთ?

- ორწლიანი უტიტულო სეზონის შემდეგ ჩვენ მაქსიმუმს მოგვთხოვენ. მე მუშაობა მიყვარს და კარგი შანსი გვაქვს ეს ტიტულები მოვიგოთ. უნდა შევეცადოთ, რომ სამივე ტიტული მოვიგოთ. ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

- სეზონის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატი იწყება, ამიტომ ყველა ფეხბურთელი შეეცდება ითამაშოს და არა სკამზე იჯდეს...

- თქვენ აქ ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებთ. როცა ფეხბრუთელი არ თამაშობს და პრესკონფერენციას აწყობს, ის უკმაყოფილებას გამოთქვამს და გაღიზიანებულია. მე არ მსურს გუნდში უკმაყოფილები მყავდეს. ვინც უკმაყოფილია, შეუძლია წავიდეს. თამაში ყველას სურს. ეს მათი სამუშაოა და ეს ნორმალურია, მაგრამ მე მინდორზე გამოვიყვან იმას, ვის გამოყვანასაც საჭიროდ მივიჩნევ და იმას ვინც კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფორმაში იქნება. ამ სეზონში ჩვენ კარგი შემადგენლობა გვეყოლება და ყველა ფეხბურთელს დიდი ოფლისღვრა მოუწევს იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. ამას გარდა, ჩვენ ხანგრძლივი სეზონი გველოდება და ამიტომ შემადგენლობის როტაცია აუცილებელი იქნება.

ფეხბურთი

ზიდანი და მაკელელე ნაკრებში ბრუნდებიან

საფრანგეთის ნაკრებს თავისი ლიდერები უბრუნდებიან.

საფრანგეთის ნაკრებს უაღრესად გაუჭირდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება და ლიდერ ირლანდიას სამი ქულით ჩამორჩება. ეს ყველაფერი კი იმის გამო მოხდა, რომ ნაკრები ერთბაშად რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის გუნდის ლიდერებმა ზინედინ ზიდანმა ("რეალი") და კლოდ მაკელელემ ("ჩელსი").

ახლახანს კი უეფას ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ ფრანგული ფეხბურთის ეს ორი ვეტერანი ნაკრებში ბრუნდება.

ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში საბერძნეთის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველებმა გადაწყვიტეს დაესრულებინათ საერთაშორისო კარიერა და მთელი ენერგია კლუბებისთვის მიეძღვნათ. ზიდანმა ევროპის ჩემპიონატის დამთავრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გააკეთა ოფიციალური განცხადება. 33 წლის პლეიმეიკერმა ნაკრებს კარიერის ათი წელი მიუძღვნა. მან საფრანგეთის ღირსება 93 ჯერ დაიცვა და სანაკრებო კარიერა დაასრულა. თუმცა, ახლახანს მან მოლაპარაკებები გამართა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკთან და ეროვნულ გუნდს კვლავ დაუბრუნდა. 1998 წლის მსოფლიო პირველობის ფინალის გმირი და 2002 წლის ევროპის ჩემპიონი ზიდანი მზად არის კვლავ გაახაროს ფრანგი გულშემატკივარი.

რაც შეეხება ლონდონის "ჩელსის" საყრდენ ნახევარმცველ კლოდ მაკელელეს, მან ზიდანზე ერთი მატჩით მეტი გამართა. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მაკელელე გუნდს ისრაელთან მატჩში დაეხმარა, თუმცა შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. აღსანიშნავია, რომ მაკელელემდე მსგავსი განცხადება მარსელ დესაიმ, ლილიან ტიურამმა და ბიქსენტ ლიზარაზუმ გააკეთეს. ამის გამო საფრანგეთის ნაკრებს საკადრო პრობლემები შეექმნა და გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პრობლემებს განიცდის.

რამდენიმე ფრის შემდეგ ფრანგები ჯგუფში მეოთხე ადგილზე არიან და ლიდერ ირლანდიას სამი ქულით ჩამორჩებიან. ამიტომ დომენეკი ვეტერანების დაბრუნებით უაღრესად კმაყოფილია. "მე უაღრესად მოხარული ვარ იმის გამო, როპმ საფრანგეთს კვლავ შეუძლია, დაეყრდნოს ორ უნიჭიერეს ფეხბურთელს - ზინედინ ზიდანსა და კლოდ მაკელელეს. ისინი ამჟამად საკუთარ კლუბებში შესანიშნავად ასპარეზობენ" - განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა.

17 აგვისტოს საფრანგეთის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში კოდ`ივუარს შეეჯიბრება, ხოლო 3 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს ფარერის კუნძულების წინააღმდეგ.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2005 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის (ლეონიძის ქ. 3/5) სააქტო დარბაზში 12 საათზე ჩატარდება აუქციონი კომპიუტერული ტექნიკის და ავტომანაქანების გასხვისებასთან დაკავშირებით:

N	ტექნიკის დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი	Mმახასიათებლები: Iიმეხსიერება Mb ვინჩესტერი Gb	საბაზრო ღირებულება ლარებში
1	2	3	4	5
1	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FB0CV89	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
2	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი Panasonic S/N FS7635296	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
3	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7089	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
4	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAAQ189	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
5	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAPH89	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
6	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794B102K69	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
7	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA6T89	11/5/1999	128 Mb; 4.3 Gb	199
8	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ389	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
9	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ889	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
10	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794PBAQ889	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
11	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQ589	11/5/1999	128 Mb;4.3 Gb	199
12	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N G177345	11/5/1999	128 Mb;40 Gb	199
13	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA8V89	11/5/1999	392 Mb;6.4 Gb	199
14	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7589	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
15	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი COMPAQ S/N 7058C11UC238	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
16	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი COMPAQ S/N 950 BJ11AN8054	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
17	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 84767A8WKL C7	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
18	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAGV89	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
19	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA9189	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
20	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი IBM S/N 8867711	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
21	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7489	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
22	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7U89	11/5/1999	192 Mb; 6.4 Gb	199
23	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FAZKB89	11/5/1999	256 Mb; 6.4 Gb	199
24	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 84767A8WL1 C7	11/5/1999	256 Mb; 6.4 Gb	199
25	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7189	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
26	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAE189	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
27	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7M89	11/5/1999	128 Mb;4.3 Gb	199
28	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAQO89	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
29	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBA7C89	11/5/1999	128 Mb; 6.4 Gb	199
30	კომპ. DDDELL P2-350 მონიტორი DELL S/N 22794FBAGN89	11/5/1999	128 Mb;4.3 Gb	199
31	პრინტერი hp LJ 5L S/N CNVM108692	11/9/1998		91
32	პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM458466	11/9/1998		109
33	პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM400249	11/9/1998		109
34	პრინტერი hp LJ 6L S/N Jpzt309263	10/21/1998		109
35	პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM458495	10/21/1998		109
36	პრინტერი hp LJ 6L S/N CNZM399889	10/21/1998		109
37	პრინტერი hp LJ 6L S/N JPZT302623	10/21/1998		109
38	პრინტერი hp LJ 6L S/N JPZP036452	4/27/1998		109
39	პრინტერი hp LJ 6L S/N JPZß061184	4/27/1998		109
40	პრინტერი hp LJ 6L S/N CNVN103475	11/4/1997		109
41	ფეროადი ჭავლური პრინტერი DDJ 890 S/N SG7BA260I2	4/27/1998		54

N	ავტომობილის მარკა	სახელმწიფო N	ფერი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მონაცემები	გამოშვების წელი	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	გარბენი კმ.	საბაზრო ღირებულება ლარებში
1	2	7	8	9	10	11	12	13
1	გაზ - 31029	VIP -321	რუხი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0041392, ძარის #XTH310290TO40783,ძრავის #4021035354%M2448, გაცემულია 26.03.2003 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1996 წელი	1998 წელი	154132	3625
2	გაზ - 31029	VIP -656	რუხი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0033897, ძრავის #402I-035355, გაცემულია 04.04.2005 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1996 წელი	1999 წელი	176477	3806
3	გაზ - 31029	VIV -783	თეთრი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0033389 ძარის #XTH310290TO40748,ძრავის #402I032457, გაცემულია 04.04.2002 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1996 წელი	1998 წელი	215688	3806
4	გაზ - 31029	VIP -662	რუხი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0033154, ძარის #0407433 ძრავის #402I-0334445, გაცემულია 04.04.2002 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1996 წელი	1999 წელი	157905	3806
5	გაზ - 31029	VIV -644	რუხი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AE#0033155, ძარის #0407238 ძრავის #402I-032787, გაცემულია 04.04.2002 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1996 წელი	1999 წელი	195390	3806
6	გაზ - 3110	AMA-313	შავი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა AA#0039209, ძარის #0173875 ძრავის #3232980, გაცემულია 24.04.2002 წ. სპ მთავარი სამმართველოს მიერ.	1999 წელი	1999 წელი	203429	4713

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი"

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42)

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.

ტკბილი გამარჯვება და მჭავე შამპანური

რეპორტაჟი "სან-ანტონიო ჰოთ სპარსის" გასახდელიდან

მელორ სტურუა
სპეც. კორ. აშშ-ში

ისინი ლერი ო`ბრაიენის თასს ეხვეოდნენ, როგორც საკუთარ შვილს, რომელიც სახლიდან დიდი ხნით გაქრა და აი, საბოლოოდ იპოვეს. იმ მომენტში მათი სახლი იყო სან-ანტონიოს SBC ცენტრის გასახდელი. მანუ ჯინობილის თითქმის ტარზანის მსგავსმა ყვირილმა "ოლე, ოლე, ოლე, ოლე!" სტადიონი გააყრუა. გასახდელის ერთ-ერთ კუთხეში იჯდა ამერიკის შეერთებული შტატების, კალათბურთში, NBA-ს ფარგლებში იმ წუთებში გამხდარი ჩემპიონის, "სპარსის" მთავარი მწვრთნელი, გრეგ პოპოვიჩი, რომელმაც სცენა მოთამაშეებს თავმდაბლად დაუთმო. ის შამპანურით ამღვრეულ თვალებს იფშვნეტდა. პოპოვიჩი, რომელიც არა მარტო კალათბურთში, არამედ ღვინოშიც კარგად ერკვევა, კეთილად ხუმრობდა:

"ჩვენ უკვე მესამედ მოვიპოვეთ ლერი ო`ბრაიენის თასი, მაგრამ ის არასოდეს დაგვისველებია ასეთი იაფი შამპანურით, როგორც დღეს. მისგან თვალები ისევე გეწვის, როგორც სპირტისგან!"

გადამწყვეტი ორთაბრძოლის, მეშვიდე თამაშის წინა დღეს პოპოვიჩმა ვახშამზე დაპატიჟა მოწინააღმდეგის, დეტროიტის "პისტონსის" მთავარი მწვრთნელი, ლერი ბრაუნი. ბრაუნი პოპოვიჩის დიდი ხნის მეგობარი და მასწავლებელია. სწორედ მან გაუკვალა გზა გრეგს NBA-ში. პოპოვიჩი ბრაუნს ძვირფასი ღვინით უმასპინძლდებოდა. გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ, როდესაც "სპარსმა" მოიგო, უფრო სწორად, გამარჯვება კბილებით გამოგლიჯა, ანგარიშით 81:74, ბრაუნმა მელანქოლიურად აღნიშნა:

"მე გამარჯვებულების იაფფასიან შამპანურს ვარჩევდი..."

მანუ ჯინობილი ქორწინების ცერემონიალზე.

როდესაც გუნდი NBA-ს ჩემპიონატში შვიდი წლის განმავლობაში სამჯერ იმარჯვებს, უნებურად ჩნდება შეკითხვა - ხომ არ გაჩნდა კალათბურთის ახალი დინასტია? ყოველ შემთხვევაში ამის წინაპირობა არსებობს. "სპარსის" ყველა ძირითად მოთამაშეს კონტრაქტი ათწლეულის ბოლომდე აქვთ გაფორმებული. გუნდის სუპერვარსკვლავები - ტიმ დანკენი და მანუ ჯინობილი ეს-ესაა თავიანთ ზენიტს უახლოვდებიან. პოპოვიჩის, როგორც მთავარი მწვრთნელის მდგომარება ურყევია. "სპარსის" პატრონებმა მას გუნდი დახუჭული თვალებით ჩააბარეს (ისინი კარგ შამპანურს სვამდნენ!).

"ჩვენ გუნდის ბირთვი ჩამოგვიყალიბდა, რომელშიც ჩვენ ყველა შეყვარებულები ვართ, - ამბობს ჩვეულებრივ დაფიქრებული დანკენი და თან თავის ბავშვურ და ცოტათი გაკვირვებულ თვალებს ატრიალებს. - და ეს ყველაზე უფრო სასიამოვნო გრძნობაა. ასეთი შემადგენლობით ჩვენ კიდევ არაერთგზის შევძლებთ ერთმანეთის შამპანურით გაწუწვას".

კალათბურთის "კომისარის" სტერნის ხელებიდან ფინალური თამაშების საუკეთესო მოთამაშის თასის აღებისას, დანკენმა თქვა, რომ ეს თასი შეიძლებოდა მისი გუნდის ნებისმიერ მოთამაშეს მიეღო. დანკენი, რა თქმა უნდა, აჭარბებდა. პლეიოფში და განსაკუთრებით "პისტონსთან" ფინალური მატჩის თამაშმა კვლავ გაამყარა დანკენის, როგორც თანამედროვე კალათბურთის ყველაზე მაგარი ძალოვანი ფორვარდის რეპუტაცია. და მაინც "სპარსის" შემადგენლობაში არის მოთამაშე, რომელიც M.V.P. ტიტულის რეალური პრეტენდენტი შეიძლება ყოფილიყო. ეს მანუ ჯინობილია, არგენტინელი მცველი, იმ ქვეყნის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, რომელიც ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, M.V.P.-ის კანდიდატურაზე კენჭისყრისას ტიმსა და მანუს შორის ხმები 6:4 პროპორციით გაიყო.

ჯინობილი, რომელიც 2003 წლის ფინალური თამაშების დროს, როდესაც ნიუ ჯერსის "ნეტსმა" "სპარსი" მიწასთან გაასწორა, ჯერ კიდევ ახალბედა იყო, უშნო იხვიდან კალათბურთის დიდებულ გედად გადაიქცა, თუმც მის სხეულს ეს არ დატყობია. იგი სულ ჩალურჯებული, სისხლჩაქცევებით სავსე და დაჟეჟილია. მეტოქის ფართან მისი გამჭოლი, დაკლაკნილი გასვლები დიდ ფიზიკურ მსხვერპლს მოითხოვს, რომელსაც იგი სიამოვნებით იღებს. ფაქტობრივად, "პისტონსთან" პირველი ორი თამაში ჯინობილიმ მოიგო და ფინალურ, მეშვიდე თამაშზე, დანკენთან ერთად გამარჯვების მამოძრავებელი ძალა იყო. მათ ერთად "სპარსს" 81-დან 48 ქულა მოუტანეს.

ამერიკული კალათბურთის დაფიქრებული "სამაგალითო ბიჭი" ტიმ დანკენი და ტემპერამენტული არგენტინელი მანუ ჯინობილი დღესდღეობით სპორტის ამ სახეობაში ყველაზე მაგარი დუეტია. შეთანხმებული თამაში მოედანზე - მეგობრობა მოედნის გარეთ.

"მე ვფიქრობ, ჩვენ ეს-ესაა მანუს ტალანტის მხოლოდ ზედაპირი გამოვაჩინეთ", - ამბობს ტიმი და თან სახიდან იწმენდს ძვირფას ოფლსა და იაფ შამპანურს. "მის შიგნით კი იმალება უდიდესი ხელშეუხებელი რეზერვი. მანუ ხომ მთელი გულით თამაშობს, და თან ყოველთვის, როგორც რიგით, ისე გადამწყვეტ შეხვედრაშიც. მისი სტილი - თავდავიწყებაა".

პოპოვიჩმა თავისი დუეტით გული ვერ იჯერა. გველივით ბრძენი, იგი დუეტს მოედანზე შემოქმედებით თავისუფლებას აძლევს: არც მანუს ემოციებს აცილებს და არც თითქოსდა ფლეგმატურ ტიმს უნთებს.

გველთან შედარება მე შემთხვევით არ გამიკეთებია.

"როგორც გრეგი ამბობს, ის გველის თავია, ჩვენ კი მისი სხეული", - ჰყვება დანკენი. "ის ჩვენ ლიგაში საუკეთესო მწვრთნელია. ამისთვის ლერი ბრაუნი ნუ გამიბრაზდება".

თვით პოპოვიჩი კი თავმდაბალია.

"უმჯობესია ერაყზე ან რამე სხვა სერიოზულ ამბებზე ვისაუბროთ".

ნინია კაკაბაძის სვეტი

რატომ არ გვინდა მედიასაბჭო?

თუკი კომუნისტების ეპოქაში აკრძალულ თემებზე, ძირითადად, საკუთარი სახლის სამზარეულოში, გემრიელი ჩაის და ნამცხვრის თანხლებით საუბრობდნენ, დღეს სახლის სამზარეულო არც ისე აქტუალურია და გაცხარებულმა დებატებმა სხვადასხვა კაფე-ბარებში გადაინაცვლა. მაგალითად, ჟურნალისტები საკუთარი უფლებების შევიწროებაზე ერთმანეთში, ამგვარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აქტიურად საუბრობენ. ძალიან ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მათ, მედიაში არსებული ცენზურის შესახებ საუბარი საჯაროდ დაიწყეს, და ისიც ძალიან ბუნდოვნად. ერთი წლის განმავლობაში ამ პრობლემის აღიარებას ყველა ფრთხილობდა. თუმცა, ხმამაღლა საუბარი ამის შესახებ, ბუნებრივია, გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო. რატომ არ მოხდა ასე? რა იყო ამის მიზეზი?

სამწუხაროდ, რამდენად დიდიც არ უნდა იყოს ჩემი სურვილი, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებთ. ჩვენ მათ მხოლოდ კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას თუ მოვთხოვთ, რაც ცხადია, რეალობისგან საკმაოდ შორს არის. დღევანდელ დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელნიც წლების განმავლობაში აქტიური ოპოზიციონერები იყვნენ, მედიასთან მიმართებაში, რბილად რომ ვთქვათ, ამორალურად იქცევიან. მათი რამდენიმე "საეთერო საქციელი" სულ რაღაც ორი წლის წინ შესაძლებელია რევოლუციის საბაბიც ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენელთა მსუყე ბიოგრაფიული მონაცემებისა, მაინც რთულია მათი ზნეობრივ ჩარჩოში მოქცევა. ერთი სიტყვით, უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად იქცა, რომ ხელისუფლება, იქნება ეს ხალხის არჩეული, დემოკრატიული გზით მოსული თუ ყოფილი რევოლუციონერი - ყოველთვის ეცდება მედიის გაკონტროლებას და მასზე ზეწოლის განხორციელებას. ეს, სამწუხაროდ, არა მხოლოდ საქართველოსთვის არის ნიშანდობლივი. რადიო "თავისუფლების" ერთ-ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, რამდენიმე ხნის წინ პირად საუბარში მითხრა: "რასაკვირველია, ბუშსაც უნდა მედიის კონტროლი, მაგრამ საქმე ის არის, რამდენად და რა დოზით ახერხებს ის ამას". ასე რომ, არც ჩვენი პატარა ქვეყნის დიდი კერპია ამ ცოდვისგან თავისუფალი. საქმე ისაა, რამდენად აძლევს მას კონტროლის საშუალებას თავად მედია და ასევე საზოგადოება. ამ საერთო გამოცდილებიდან გამომდინარე, თუკი ჩვენ გვიჭირს, პასუხი მოვთხოვოთ ხელისუფლებას, მედიის თავისუფლების ხარისხი მთლიანად მედიის წარმომადგენელთა და საზოგადოების ხელში უნდა მოვაქციოთ. საზოგადოებისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ კატასტროფულ მდგომარეობაში უწევს არსებობა, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს, ოპტიმისტური თვალით შეხედოს საკუთარ მომავალს, მაშინ, როდესაც ძალიან ცოტა ხნის წინ, ასე ვთქვათ, გამოუშვა წლების განმავლობაში დაგროვილი ორთქლი, რომელმაც ყოველდღიურად უნდა იფიქროს, ხვალ საკუთარ მცირეწლოვან შვილს რა აჭამოს - ძალიან მძიმე იქნება ეს უკანასკნელი, ანუ მედიის თავისუფლებაც, ძირითადად, მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მოვაქციოთ. ამიტომ, პირველ რიგში, პასუხი და გამოსავალი ისევ თავად მედიაში უნდა ვეძებოთ.

დღეს, როდესაც სხვადასხვა დამოუკიდებელ არხებზე რამდენიმე პოლიტიკურ-ანალიტიკური გადაცემა დაიხურა, ტელეწამყვანებს ხელისუფლების წარმომადგენლები როგორც პატარა ბავშვებს, პირდაპირ ეთერში ისე ტუქსავენ. საავტორო გადაცემების დამზადების საშუალებას არ აძლევენ ისეთ ჟურნალისტებს, რომელნიც ხელისუფლების შეცდომებზე პროფესიონალურად ისაუბრებენ და სხვა და სხვა. ამის შესახებ სამწუხაროდ თავად (დაზარალებული) ჟურანლისტები საჯაროდ არ საუბრობენ, პროტესტს არ გამოთქვამენ და თამაშის იმ წესებს იღებენ, რომელსაც მათ ხელისუფლება და მათი ოლიგარქი "ტელემაგნატები" სთავაზობენ. თითქოს სურათი, რომელიც ცისფერი ეკრანის მეშვეობით ჩვენს თვალწინ არის, ერთგვარი ხელშეკრულებაა აღმასრულებელ ხელისუფლებას, ტელეკომპანიის მფლობელს და ჟურანლისტებს შორის. რიგითი ჟურნალისტი საკუთარ ხელფასს არის გამობმული, მისი უფროსი თავის ბიზნესს, ხელისუფლება კი თავის სკამს და მდგომარეობას, ამიტომ მათი ურთიერთობა გაცვლა-გამოცვლის პრინციპით მუშაობს - მე ფულს გიხდი, შენ კომფორტს მიქმნი.

არიან ისეთი ჟურნალისტებიც, ვინც მომავალ "მესკამეებზე" ზრუნავენ (ამ შემთხვევაში სხვადასხვა ბეჭდურ მედიას ვგულისხმობთ) და ამიტომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ ამბების თხრობისას, საკუთარი ფანტაზიის უკიდეგანო ნიჭს იყენებენ. აუცილებელი არ არის ამ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების გაცნობა, საკმარისია მათი სათაურების ამოკითხვა და ყველაფერი გასაგებია: "რომელი მათრახით სცემს საკუთარ მეუღლეს ვანო მერაბიშვილი", "რომელი ფეხსაცმლის სარჩულში ინახავს ოქრუაშვილი ფულს", "ვისი სისხლი დალია კახა ლომაიამ" და ა.შ. ამას, სამწუხაროდ, ამ სტატიის ავტორები კრიტიკას უწოდებენ, ხელისუფლების წარმომადგენლები კი მედიის თავისუფლებას. ამიტომ ხდება, რომ ხელისუფლება საჯაროდ ამგვარი სტატიების ავტორებს არ ტუქსავს და მათ მუშაობაში ხელს არ უშლის, რადგან ისინი სინამდვილეში საშიშები არ არიან. დასკვნითი სურათი კი ამგვარია: დღეს თავისუფალი სიტყვის წარმოთქმის საშუალება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ ეძლევა იმ ჟურნალისტს, ვისი სიტყვაც ფასეულია. ბევრს კი ის ლაპარაკობს, ვინც "ბოდავს". და ამგვარი სურათით ორივე მხარე - ხელისუფლება და მედია - კმაყოფილია. მოტყუებული, როგორც ყოველთვის, საზოგადოება რჩება. ამიტომ ხდება რომ...

მაშინ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა წარმომადგენლები, ჟურნალისტი ეკა კვესიტაძის თაოსნობით აყალიბებენ მედიასაბჭოს, როგორც ჟურნალისტების თვითრეგულირების ორგანოს, მის მიმართ პროტესტს და უნდობლობას გამოთქვამენ სხვა ჟურნალისტები. მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, შესაძლებელია, პატარა ნაწილისათვის რთული გასაგები აღმოჩნდა მედიასაბჭოს მომავალი საქმიანობის შინაარსი, უმეტესი ნაწილისათვის კი საშიში.

მედიასაბჭო, მარტივად რომ ვთქვათ, ჟურნალისტებისგან მოითხოვს პროფესიონალიზმს (გადამოწმებული ინფორმაცია, ეთიკის ნორმები, ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ.), რაც თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში სამწუხარო დეფიციტია, ხელისუფლებისაგან კი მოითხოვს თითოეული ჟურნალისტის უფლების დაცვას და დაიცავს მათ ცენზურისგან. ვფიქრობთ - თუ არა ისევ და ისევ არაპროფესიონალიზმი, უვიცობა, არაკვალიფიციურობა - მედიასაბჭოს არსებობა უნდობლობას და ეჭვს არ გამოიწვევდა და ყველაზე მეტად საბჭოს არსებობისთვის თვით მედიის წარმომადგენლები იზრუნებდნენ. მაგრამ საქართველოში ეს ასე არ ხდება და ჯერ კიდევ არარებული მედიასაბჭოს წინააღმდეგ თავად ჟურნალისტები იბრძვიან. რატომ? მედიასაბჭოს სრულყოფილი არსებობის შემთხვევაში გართულდება მომავალი "მესკამეებისთვის" ახლანდელ "მესკამეებზე" ისეთი სტატიების წერა, როგორიც არის "სისხლიანი დანა მინისტრის საყვარლის მეუღლის საწოლში", ეს კი არაოფიციალურ ხელფასსაც შეავიწროებს, სენსაციას გამოკიდებული ტელეკომპანიები კი ვეღარ გვაჩვენებენ მსხვილი ხედით ინცესტის მსხვერპლს და მის სხეულზე იარებს... ამგვარი ჟურნალისტებისათვის კი სწორედ ეს რეპორტაჟებია ჟურნალისტიკაც, თავისუფლებაც და კრიტიკაც.

ამიტომ, მედიასაბჭოს არსებობისთვის ისევ საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს, იმისათვის, რომ მომავალშიც არ დარჩეს მოტყუებული კორუმპირებული, არაკვალიფიციური, უვიცი და მოძალადე მედიისა და ხელისუფლების ხელში.

P.S. საბედნიეროდ, სვეტის პათოსი არ ეხება რამდენიმე ჟურნალისტსა და ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000141408, კოდი 220101107), ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს ვანი-სულორის საავტომობილო გზის კმ.1 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 19 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 22 აგვისტოს 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

ე) ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1	ავტოგრეიდერი საშუალო	2
2	ავტოგუდრონატორი	1
3	ამწე ტვირთამწეობით 5 ტ	1
4	ავტობეტონსარევი	1
5	ელექტროგენერატორი	1
6	კომპრესორი მოძრავი	1
7	სამტვრევი ჩაქუჩები	2
8	საგზაო ფრეზი	1
9	ასფალტდამგები	1
10	პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ	1
11	სატკეპნი გლუვგალციანი 11-18 ტ	1
12	ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³	1
13	საბურღ-ამწე მანქანა	1
14	ნიშანსადები მანქანა	1
15	სარწყავ-სარეცხი მანქანა	1
16	ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ	10
17	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ	1
18	ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ	1
19	ასფალტობეტონის ქარხანა	1

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა
1 2 3 და ა.შ.					

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

თანამდებობა სპეციალოქბა	გვარი სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება	ანალოგიურ სამუშაობებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1 2 3 და ა.შ.			

- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

4.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

შესრულებული სამუშაოს სახე	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულება
1 2 3 და ა.შ.		

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

5. მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 25 აგვისტოს 1000 საათიდან 2005 წლის 26 აგვისტოს 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

ბრიჯიტ ჯონსის დაბრუნება

თამარ ბაბუაძე

მარტოხელა, ჩასუქებული ქალი - ბრიჯიტ ჯონსი ლამის კულტად იქცა, ახლა კი ისევ საგაზეთო სვეტში დაბრუნდა - იქ, სადაც ათიოდე წლის წინ დაიწყო ცხოვრება.

ავტორმა ჰელენ ფილდინგმა თავისი პერსონაჟის პირით გაზეთ "ინდეფენდენთში" დაიწყო ყოველკვირეული საგაზეთო დღიურების წერა. თითქოს, არაფერი შეცვლილა - ბრიჯიტი ისევ ებრძვის - ცხოვრებას, სიყვარულს და კალორიებს, მაგრამ ახლა საზრუნავი მომატებია - ტერაქტებიც აშინებს და წლებიც, რომლებიც საათებივით მიქრიან.

ფილდინგი ამბობს, რომ ბრიჯიტ ჯონსის ცხოვრებაში სრულიად ახალი თავი დაიწყო, მაგრამ ის მაინც ძველი ბრიჯიტია; ძველი ბრიჯიტი, რომლის დღიურებიც "ინდეფენდენთის" ფურცლებზე 1995 წელს გაჩნდა, შემდეგ ორ მსოფლიო ბესტსელერ წიგნად გამოიცა და ორ ბლოკბასტერ ფილმადაც გადაკეთდა - რენე ზელვეგერით მთავარ როლში.

ასე რომ, ახლა მესამე ეტაპი დადგა. ბრიჯიტ ჯონსი თავის აზრებს და ცხოვრებისეულ დეტალებს პუბლიკას მეორე წიგნის Edge of Reason-ის გამოსვლის შემდეგ პირველად უზიარებს. ეს წიგნი კი ხუთზე მეტი წლის წინ გამოიცა პირველად.

სვეტები "ინდეფენდენთში" ხუთშაბათობით ქვეყნდება. ჯონსი კვლავაც ორ კაცს - მარკ დარსისა და დენიელ ქლივერს შორის ვერ აკეთებს არჩევანს და თან იმაზე ნერვიულობს, რომ შვილი არ ჰყავს. პარალელურად, ლონდონის ტერაქტებიც აშფოთებს, მაგრამ მაინც ამაყობს საკუთარი თავით - "რა კარგად ვიტან ამ კრიზისულ მდგომარეობასო".

"ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში ჰელენ ფილდინგმა განაცხადა: "ზუსტად არ ვიცი, რით დამთავრდება ჩემი პერსონაჟის ისტორიები. დასასრული ჯერ არ დამიწერია, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი - ახლა ბრიჯიტის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო... თუმცა, ბრიჯიტი კვლავაც ძველი ბრიჯიტია - სიგარეტს თავი ვერ დაანება, ვერც სმას, კვლავაც ცდილობს, დიეტა დაიცვას და კვლავაც იგივე ადამიანებით არის სავსე მისი ცხოვრება. მაგრამ მთელი სიახლე ის არის, რომ ბრიჯიტი თანდათან ახალი მიმართულებით იწყებს სვლას".

50 ცენტი, ქუინსი ჯონსი და სხვები



ქუინსი ჯონსი პროდიუსერის ამპლუადან მუსიკის კეთებას დაუბრუნდება. ის თვითონ დაწერს მუსიკას ფილმისთვის, რომელშიც რეპერი 50 ცენტი ითამაშებს. ეს 50 ცენტის დებიუტია. ფილმს ცნობილი ირლანდიელი რეჟისორი ჯიმ შერიდანი იღებს. 50 ცენტი ობოლი ბიჭის როლს თამაშობს, რომელიც ცუდ წრეში მოხვდება, ნარკო-დილერი გახდება, მაგრამ შემდეგ გამოსწორების გზას დაადგება, რეპის სიმღერას დაიწყებს და სახელსაც გაითქვამს.

როგორც ამბობენ, ფილმი ნახევრად ავტობიოგრაფიულია, 50 ცენტი (მისი ნამდვილი სახელია ქერთის ჯექსონი) რეპერობამდე ნარკოტიკის გასაღებისთვის ციხეშიც იჯდა. მერე კი ჩაწერა ალბომი, რომელიც მაშინვე ჰიტად იქცა და ავტორი რეპის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად აქცია. ახლა ფანები მისი მეორე ალბომის - Get Rich or Die Tryin'-ის მოლოდინში არიან, დისკი ამერიკაში დეკემბრიდან გამოვა, ბრიტანეთში - იანვრიდან.

ფილმისადმი ინტერესიც უკვე საგრძნობია. ცნობისმოყვარეობას ქუინსი ჯონსის სახელიც ზრდის. ის ხომ მუსიკალური "ოსკარით" ორჯერ არის დაჯილდოებული 1985 წლის ფილმისთვის The Color Purple. საუკეთესო კინო-პარტიტურის ნომინაციის "ოსკარზე" ის სხვა ფილმებისთვისაც იყო წარდგენილი: "იტალიური საქმე", "ღამის სიცხეში", "ცივი სისხლი" და სხვა.

კინოს მოყვარულები კარგად იცნობენ ჯიმ შერიდანსაც. მისი ფილმი "ამერიკაში" შარშანდელ "ოსკარზე" ძალიან პოპულარული იყო და რამდენიმე ნომინაციაზეც იყო წარდგენილი.

ასე რომ, თანამშრომლობა სამს - რეჟისორს, კომპოზიტორს და რეპერს შორის, სავარაუდოდ, წარმატებული უნდა გამოვიდეს.

საერთო ინტერესი - შვილი

ბილი ბობ თორნთონს ძალიან უხარია თავისი ყოფილი ცოლის ანჯელინა ჯოლის კარგად ყოფნა. კარგად ყოფნაში კი ის იგულისხმება, რომ მსახიობმა ეთიოპიელი თოთო გოგონა ზაჰარა მარლი იშვილა. "ვგიჟდები ამ ფაქტზე. ვიცოდი, რომ ბავშვის აყვანას აპირებდა. ანჯელინა ბევრს აკეთებს პატარებისთვის, რომელთაც არაფერი აქვთ. დარწმუნებული ვარ, ყველა ბავშვს, რომელთაც ანჯელინასთან ერთად მოუწევთ ცხოვრება, შესანიშნავი დედა ეყოლებაო", - განუცხადა თორნთონმა ჟურნალ People-ს.

ის ჯოლის დედაშვილურ გრძნობებზე ჟურნალისტებთან იმიტომ ლაპარაკობს ასე გულღიად, რომ უპატრონო ბავშვი მათ ერთად თანაცხოვრების დროსაც აუყვანიათ. სანამ გაიყრებოდნენ (ეს 2002 წელს მოხდა), თორნთონმა საკუთარი ინიციატივით იშვილა კამბოჯელი პატარა ბიჭუნა მედოქსი. მედოქსს ჯოლი დღესაც ხშირად ასეირნებს ხოლმე და პაპარაცებით მათ ფოტოებს სულ სხვადასხვა პოზებში უღებენ. სამაგიეროდ პატარა კამბოჯელს ბილი ბობ თორნთონი ვერ ხედავს ხშირად. "ანჯელინა გამუდმებით მოგზაურობს, მთელ მსოფლიოსაა მოდებული, მე კი კალიფორნიაში ვცხოვრობ და ანჯელინასა და ბავშვის ნახვას მხოლოდ მაშინ ვახერხებ, აქ რომ ჩამოდიან. ბოლო წლებში ეს ხშირად ნამდვილად არ ხდება", - აცხადებს თორნთონი და კიდევ ერთ ჭორზე აკეთებს კომენტარს - ჯოლისა და ბრედ პიტის ურთიერთობაზე. როცა ჯოლი ეთიოპიელი გოგონას შინ წასაყვანად მივიდა, მას თან ბრედ პიტი ახლდა. თორნთონი ამაზე ამბობს: "არაფერია გასაკვირი".



რკინიგზის საავადმყოფოს
სამედიცინო კოლეჯი
აცხადებს მიღებას:
1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია;
სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.
აღსანიშნავია:
სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში
10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.
გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**
მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ღრმა მწუხარებას გამოხატავს, სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის, გიორგი შავგულიძის დედის, ქალბატონ
ეთერ შავგულიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.